ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

# ქართველი მეღვინეები რუსი პარტნიორებისგან ფულს სასამართლოს გზით იბრუნებენ

გვ.6



პარასკევი, 15 მაისი, 2015 1111 (6731) აფცბ5 №) სტსჰბ

# დავით დარჩიაშვილი: სააკაშვილი აუცილებლად უნდა ჩამოვიყვანოთ“



გვ.3

## „თავისუფალ დემოკრატებთან ვითანამშრომლებთ“

„მთავრობა მთლიანად არის შესაცვლელი. ეს საკითხი ჩვენ მარტში დავაყენეთ და თავისუფალი დემოკრატებიც შემოგვიერთდნენ. ახალი მთავრობის დაკომპლექტებაზე მთელ პოლიტიკურ სპექტრს უნდა ეზრუნა. ხადური უნდა წავიდეს, თუმცა მარტო მისი წასვლა, საქმეს ვერ უშველის. მთელი მთავრობა უნდა გამოიცვალოს“.



გვ.5

## დავით თევზაძე: თინა ხიდაშელმა კურსები უნდა გაიაროს“



თავღაცვის მინისტიების კლუბის შექმნის ინიციატივა ახაფჹის მომტანი ah ahის, პიახსვლაა

## პრორუსული განწყობის მატება სიგნალი უნდა იყოს ხელისუფლებისთვისაც და დასავლეთისთვისაც“

რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციურ ფლანგზე სერიოზული დეფიციტია“

გვ. 2



## აფხაზი ძალოვნები სოხუმში ერთმანეთს დაერივნენ

გვ.4





მოხსნის თუ არა რაულ ხაჯიმბა შს მინისტრს



## ნიკოლოზ მჟავანაძე: ენდიაი ცდილობს, საქართველოში ანტიდასავლური განწყობები შექმნას“

ვერა თორინგტონი: „ენდიაის პოლიტიკური მიზნები არ აქვს“

გვ.3

ISSN 1987-9385
9 771987 938006



## სოკარი“: კარბამიდის ქარხნის მშენებლობა კალაძეს არ შეუჩერებია“

გვ.6

„სოკარი“ სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას არანაირ სუბიექტურ თუ სხვა ფაქტორებს გავლენა არ მოუხდენია



# პრორუსული განწყობის მატება სიგნალი უნდა იყოს ხელისუფლებისთვისაც და დასავლეთისთვისაც“

## რამაზ საყვარელიძე: „ოპოზიციურ ფლანგზე სერიოზული დეფიციტია“

ნათია ხურცილავა

Პოლიტოლოგი ჩამაზ საყვაჩელიძე 'ახალ თაობასთან~ ინტეჩვიუში აცხადებს, ჩომ ნებისმიეჩი ხელისუფლებისთვის სოციოლოგიუჩი ჯვლევის შედეგები აჩის სიგნალი და მისი შედეგები სახელმძღვანელო უნდა იყოს.

***— ბატონო რამაზ, ენდიაის სოციოლოგიურ კვლევებს როგორ აფასებთ? ამ კვლევების მიხედვით, ხელისუფლების რეიტინგი შერყეულია. შეიძლება, ეს ერთგვარი სიგნალი იყოს?***

— ნებისმიერი კვლევა უნდა იყოს სიგნალი, თუ შეიძლება, ასე ითქვას, როგორი კრიტიკულიც არ უნდა ვიყოთ ამ კვლევის მიმართ. ზოგადად ენდიაისა და აირაის სოციოლოგიური კვლევების მიმართ კრიტიკული ვარ. ბევრი რამეა ისეთი, რაც ეჭვებს აჩენს.

***— კონკრეტულად?***

— კვლევა რაღაცისთვის არის ყოველთვის გამიზნული. მიუხედავად ამისა, მაინც უნდა აღვნიშნოთ, რომ ის ტენდენციებს ყოველთვის გამოკვეთს. არის პრობლემები და ეს პრობლემები ჩანს ამ კვლევაშიც. პრობლემები რომ არის, ამას თავად ხელისუფლების წამყვანი ფიგურებიც კი აღიარებენ. თუ პრობლემები არის, მათზე საზოგადოებას ექნება რეაქცია და ეს სულაც არ არის გასაკვირი, რომ არ ჰქონდეს რეაქცია, ეს იქნებოდა გასაკვირი. ცხოვრებისეული სირთულეები, სირთულეები ყოფაში, ყოველდღიური შეჯახება პრობლემასთან იწვევს მოქალაქეების გარკვეულ დამოკიდებულებებს ხელისუფლისადმი. ბევრი რამ არის საყურადღებო და ამას ყურადღება უნდა მიაქციოს ხელისუფლებამ.



***— პოლიტიკური ფიგურების მოწონების რეიტინგებზე რა შეგიძლიათ თქვათ? პრეზიდენტი მარგველაშვილი პირველ ადგილზეა. ეს მონაცემი აძლევს თუ არა მარგველაშვილს შემდეგი პოლიტიკური ნაბიჯისთვის საფუძველს?***

— რასაკვირველია, საფუძველს აძლევს და ეს მონაცემი მისთვის უდავოდ საყურადღებო შედეგია. რითაც უნდა იყოს ეს შედეგი განპირობებული, ის ყოველთვის სტიმულს იძლევა. მარგველაშვილის შემთხვევაშიც ეს სტიმული გარდაუვალი იქნება. ამავე მონაცემებით, ირაკლი ალასანიას მოწონების რეიტინგში აქვს მნიშვნელოვანი მაჩვენებელი, მაგრამ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაა ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელი — მისი პარტია მას მკვეთრად ჩამორჩება.

***— ასეთი მკვეთრი დისბალანსი ლიდერსა და პარტიას შორის რით შეიძლება იყოს განპირობებული?***

— რთული ასახსნელია. ყველა დეტალს აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელობა აქვს, როგორ არის კითხვა ფორმულირებული, რა და როდის არის თქმული და ა.შ. პიროვნული თვისებები, მომხიბვლელობა, ასევე, როგორც ლიდერია ამ შემთხვევაში ალასანია შეფასებული. ამ მაგალითის საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ პოლიტიკურ ლიდერს, ეს იქნება ალასანია თუ პრეზიდენტი მარგველაშვილი, შეიძლება, ჰქონდეს მაღალი რეიტინგი, მაგრამ, ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ისინი მოწონებულნი არიან პიროვნული თვისებებით, სხვა ფაქტორებით და არა — პოლიტიკური თვალსაზრისით. ამ მოწონების რეიტინგის პოლიტიკურ კონდიციამდე მიყვანას კიდევ სხვა რამე სჭირდება.

***— ოპოზიციურ ფლანგზე ნაციონალური მოძრაობა კვლავ მძლავრად გამოიყურება. ნაციონალური მოძრაობის წევრები მათ მზარდ რეიტინგზე მიანიშნებენ. ეს რამ განაპირობა?***

— ფაქტია, რომ ოპოზიციურ ფლანგზე დეფიციტია და სხვა არაფერი.

***— და ეს განაპირობებს ნაციონალების რეიტინგსაც?***

— ნაციონალური მოძრაობის რეიტინგი მაღალია სხვა ოპოზიციური პარტიების რეიტინგთან შედარებით. მე მეეჭვება, რომ ხელისუფლების რეიტინგის რყევა რაიმე სახის ფორას აძლევდეს ნაციონალურ მოძრაობას.

***— ანუ ხელისუფლების მხარდამჭერები რაც უნდა იმედგაცრუებული იყვნენ, ნაციონალების ამომრჩევლები არ გახდებიან?***

— დიახ, სწორედ ამას ვგულისხმობ. ეს, უბრალოდ, შეუძლებელია. ეს იქნებოდა ყოველგვარი კანონზომიერების დარღვევა. იმედგაცრუებული ამომრჩეველი პროტესტის ნიშნად არჩევნებზე არ მიდის. ის არ ხდება რადიკალურად განსხვავებული პოლიტიკური ძალის მხარდამჭერი. ნიჰილიზმი ელექტორატში სხვა ფენომენია.

***— კვლევამ აჩვენა, რომ არის ამომრჩეველთა საკმაოდ დიდი სეგმენტი, 45 პროცენტი, რომელმაც არ იცის, ვის დაუჭერს მხარს. შეიძლება, ეს იყოს სწორედ მესამე პოლიტიკური ძალისთვის თავისუფალი ადგილი?***

— ეს 45% ნათლად მიანიშნებს იმაზე, რომ უკვე დიდი ხანია, ქვეყანაში ახალი პოლიტიკური ძალის მოთხოვნილებაა. არ არის გამორიცხული, რომ სრულიად შემთხვევითი ადამიანები აღმოჩნდნენ პოლიტიკაში. ველი თავისუფალია, მის დაკავებას დაიწყებენ ადამიანები, ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ პოლიტიკურად გამოუცდელები და, არ არის გამორიცხული, პროცესები ფორსირებულად განვითარდეს. ძალაუფლების ხელში აღება არც ისე რთულია ხოლმე. უფრო რთული შემდეგი ეტაპია და ამის მაგალითი შეიძლება იყოს ის პროცესი, რომლის მოწმენიც ჩვენ ვართ. დღევანდელი ხელისუფლების ბევრი პრობლემა გამოუცდელობით არის განპირობებული,.

***— ამ კვლევებმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი გამოკვეთა, 31 პროცენტი, რომელიც ევრაზიული კავშირის მომხრეა. ეს საგანგაშო მაჩვენებელია? ექსპერტები ამბობენ, რომ პრორუსული განწყობების ასეთი მაღალი მაჩვენებელი არასდროს დაფიქსირებულა.***

— ამ საკითხს სერიოზული დაფიქრება სჭირდება. ეს უნდა იყოს სიგნალი არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებისთვის, არამედ დასავლეთისთვის ზოგადად. არც სააკაშვილის დროს ყოფილა ეს საკითხი მოგვარებული და ამ განწყობების მიმართ არც მაშინ ყოფილა ნაკლები სიმპათიები. ეს უფრო გლობალური პრობლემაა, ვიდრე კონკრეტულად რომელიმე ხელისუფლების.

***— რატომ? ფიქრობთ, რომ ადამიანებში თავად ევროკავშირი, ნატო იწვევს იმედგაცრუებას, რადგან გამუდმებული მოლოდინის რეჟიმი აჩენს ამ განწყობებს?***

— დიახ, სწორედ ასეა. როდესაც ასეთი იმედგაცრუებები გვაქვს სახეზე, მერე იჩენს ხოლმე ანალოგიური განწყობებიც თავს. მაგალითად, დამთავრდა სააკაშვილის მმართველობა, მაგრამ დაიწყო უკეთესი ცხოვრება? ამაზეა პასუხი გასაცემი.

***— ამ კვლევებით ბევრ მნიშვნელოვან საკითხზე შეიძლება ხელისუფლებამ მიიღოს პასუხები?***

— ზოგადად სოციოლოგიურ კვლევას სწორედ ეს დატვირთვა აქვს. მე საუბრის დასაწყისში გითხარით, რომ არ ვენდობი ამ კვლევებსა და მონაცემებს, თორემ საერთოდ სოციოლოგიის ფუნქცია ეს არის, გაზომოს ადამიანებში განწყობები და დამოკიდებულებები, რომლებიც შემდეგ სახელმძღვანელო იქნება ხელისუფლებისთვის. ეს არის და ეს. სხვა ფუნქცია სოციოლოგიას არ აქვს.

# გიგა ბუკია: არ მგონია, რომ ევრაზიულ კავშირს 31% უჭერდეს მხარს“

## „ეროვნული ბანკის პრეზიდენტთან „კონსერვატორებს“ ბევრი შეკითხვა გვაქვს“

მარიამ მჭედლიშვილი

ჩისი მანიშნებელია ევჩაზიული ჯავშიჩის მომხჩეთა ჩაოდენობის ზჩდა? ჩა ელის ლაჩის ჯუჩსს? საფუძვლიანია თუ აჩა Პჩოგნოზები და ინფოჩმაციები შემოდგომაზე მოსალოდნელი დესტაბილიზაციის შესახებ? 'ახალი თაობა~ ამ და სხვა საჯითხებზე ესაუბჩა Პაჩლამენტის უმჩავლესობის წევჩს, ფჩაქცია 'ჯონსეჩვატოჩების~ თავმჯდომაჩე გიგა ბუჯიას

— ამერიკის ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის კვლების თანახმად, გაიზარდა იმ მოქალაქეთა რაოდენობა, ვისაც ევრაზიულ კავშირში საქართველოს გაწევრიანება უნდა. ეს ციფრი, გამოკითხვის მიხედვით, 31%-ს შეადგენს..

— დავიწყებ იმით, რომ წინა წლებში ჩატარებული გამოკითხვებიდან გამომდინარე, „ენდიაი“-ს თბილისის ოფისის მიმართ საზოგადოებაში დიდი სანდოობა არ არის. არაერთხელ დადასტურდა, რომ ამ კვლევების მონაცემები არ ემთხვევა რეალურ ციფრებს. ძალიან ძნელია შეაფასო ის ციფრიც, რომელიც ასახავს ჩვენი მოქალაქეების დამოკიდებულებას ევრაზიული კავშირის მიმართ. გასათვალისწინებელია კითხვის ფორმა, კონტექსტი. ერთი რამის თქმა შეიძლება — ეს 31-პროცენტიანი მაჩვენებელი ალოგიკურად გამოიყურება.

***— ევროატლანტიკური მისწრაფებებიდან გამომდინარე?***

— დიახ. შეუძლებელია, ამდენი უჭერდეს მხარს ევრაზიულ კავშირს იმ დროს, როცა აბსოლუტური უმრავლესობა ევროკავშირში ინტეგრაციის მომხრეა.

***— თუმცა, ეს ციფრი შესაბამისობაში მოდის იმ შეშფოთებებთან, რომლებიც ამ გამოკვლევამდე რამდენიმე თვით ან თუნდაც ერთი წლით ადრე გამოითქმებოდა. მათი ავტორები (მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებიდან) ირწმუნებოდნენ, რომ საქართველოში პრორუსული განწყობები მატულობს.***

— ამ შეშფოთებების საფუძველი არ არსებობს. საქართველოში პრორუსული განწყობები არ არის, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამა თუ იმ საკითხისადმი დამოკიდებულება დროთა განმავლობაში იცვლება. მაგალითად, 2008 წლის ომის დამთავრების შემდეგ აგრესორისადმი უფრო მეტი აგრესია იყო. საზოგადოების დიდი ნაწილის აზრი ემთხვევა ჩვენი ხელისუფლების პოზიციას, რომელიც უარს ამბობს აგრესიულ საომარ რიტორიკაზე, თუმცა ქვეყნის ინტერესებს არ თმობს. დღევანდელი ხელისუფლების საგარეო პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ კეთილმეზობლური პოლიტიკა ჰქონდეს სხვა სახელმწიფოებთან, მაგრამ არა საქართველოს ინტერესების ხარჯზე.

***— მოსახლეობის განწყობებში აგრესიის შემცირება აისახა?***

— მნიშვნელოვანია ისიც, როდის, რა პირობებში ტარდება გამოკითხვა. წინა ხელისუფლების დროს ხალხი დაშინებული იყო. საკუთარი მოსაზრებისათვის შეიძლებოდა ადამიანი დაეპატიმრებინათ. ამიტომ სიმართლის თქმისა ეშინოდათ. დღეს აზრის გამოთქმისათვის არავის იჭერენ და მოქალაქეებიც უფრო თამამად გამოთქვამენ აზრს, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ მოსახლეობის დიდი ნაწილი ევრაზიულ კავშირს უჭერდეს მხარს.

***— მოსახლეობისათვის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული ლარის კურსის დაცემა და ცხოვრების გაძვირებაა..***

— მინდა მოსახლეობა დავარწმუნო, რომ უკეთესობისაკენ იცვლება ყველა მონაცემი, რომელიც ადრე ლარის კურსის დაცემაზე აისახებოდა. რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის თბილისის ფორუმი ხელს შეუწყობს ლარის კურსის გამყარებას. ამ ფორუმის ფარგლებში 2.000-მდე ბიზნესმენი ჩამოვიდა. ხორციელდება ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული პროექტები, ხელი ეწყობა ბიზნესს. სერიოზული კონტაქტებია ჩინელებთან. ყველაფერი ეს და სხვა ფაქტორები დადებითად იმოქმედებს ლარის კურსზე.

***— მომავალ კვირაში პარლამენტში ეროვნული ბანკის პრეზიდენტი მოვა. მასთან თუ გექნებათ შეკითხვები ამ თემაზე?***

— ეროვნული ბანკის პრეზიდენტი ყოველწლიური ანგარიშით უნდა წარდგეს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. ის პარლამენტში ამის გამო მოდის. ჩვენ, „კონსერვატორებს“, მასთან შეკითხვები ნამდვილად გვაქვს. მათ შორის, ლარის კურსთან დაკავშირებით.

***— არასაპარლამენტო ოპოზიცია სარწმუნო წყაროებზე დაყრდნობით ირწმუნება, რომ ნაცმოძრაობამ თავისი გეგმები საშემოდგომოდ გადაიტანა და რომ შემოდგომაზე ნაციონალები არეულობას გეგმავენ..***

— საქართველოში დესტაბილიზაციის მოწყობის სურვილი მათ აქვთ. სააკაშვილს უნდა, საქართველოში იმაზე მეტი პრობლემა იყოს, ვიდრე უკრაინაშია. მთავარია, რომ ნაციონალების ეს ოცნებები განუხორციელებელია. ხელისუფლება ფლობს ყველა ბერკეტს იმისათვის, რომ ქვეყანაში დესტაბილიზაცია არ დაუშვას. ერთადერთი, ვისაც ცვლილებები შეუძლიათ, მოქალაქეები არიან. ეჭვი არ მეპარება, რომ ისინი თავიანთ პოზიციას არჩევნებზე გამოხატავენ.



***— „ქართული ოცნების“ რეიტინგი კლებულობს. ამ კოალიციას რა შანსები აქვს საპარლამენტო არჩევნებზე?***

— ცნობილია, რომ „ქართული ოცნება“ არ მისდევს რეიტინგებსა და პიარს. კარგია ეს თუ ცუდი, ეს სხვა თემაა. დარწმუნებული ვარ, მოქალაქეები სწორად აფასებენ ვითარებას და ხედავენ, ვინ რას აკეთებს, ვინ რის გაკეთებას ცდილობს, ან, პრობლემების მიუხედავად, რა შეიცვალა ქვეყანაში. ვფიქრობ, რომ ხალხი იმავე არჩევანს გააკეთებს, რაც 2012 წელს გააკეთა.

ახალი თაობა
www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# ნიკოლოზ მჟავანაძე: ენდიაი ცდილობს, საქართველოში ანტიდასავლური განწყობები შექმნას"

## ვერა თორინტონი: „ენდიაის პოლიტიკური მიზნები არ აქვს"

გულიკო ბალაძე

**გუშინ, 14 მაისს, აჰასამთავჰობო ოჰგანიზაციებმა 'უფლებადამცველთა გაეჰთიანებამ~, 'ახალგაზჰდა უფლებადამცველთა ასოციაციამ~ და საზოგადოებჰივმა გაეჰთიანებამ 'სამაჰთლიანობისთვის~ ენდიაის სათავო ოფისთან გამაჰთეს აქცია-პჰესკონფეჰენცია 'აჰა გაყალბებას~.**

აქციის მომწყობებს გამოტანილი ჰქონდათ ლოზუნგები: „კვლევები ემსახურება ნაციონალური მოძრაობის დაბრუნებას", „იძებნება ენდიაის კვლევაში მონაწილე", „ჩვენ დავაბრუნებთ მიშას — ენდიაი", „არა გაყალბებას", „თქვენი კვლევებით ანტიდასავლურ განწყობას აღვივებთ".

**ნიკოლოზ მჟავანაძე — „უფლებადამცველთა გაერთიანების" თავმჯდომარე:**

— სანამ ჩვენ აქციას გავმართავდით, ენდიაის ოფისში იმყოფებოდნენ რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე ხათუნა სამნიძე და რესპუბლიკელი დავით ზურაბიშვილი. არ ვიცი, რაზე ილაპარაკეს. მათი საუბრის შემდეგ გამოვიდა ჟურნალისტებთან ენდიაის ხელმძღვანელი და გააკეთა კომენტარი, რომ მიკერძოებული არ არის.

მჟავანაძის თქმით, ამ ორგანიზაციის ურთიერთობები რესპუბლიკელებთან, ნაციონალებთან და ალასანიასთან უკვე იმდენად გაშიფრულია, რომ სახალხოდ ფამილარული ურთიერთობების დაფიქსირებას არ ერიდებიან.

— ჩვენ ჩავატარეთ მოქალაქეების გამოკითხვა, გარკვეულ პერიოდში აირაისა და ენდიაის მიერ თვითონ ან მათი ოჯახის წევრები თუ გამოჰკითხა ვინმემ. გაირკვა, რომ არავინ გამოუკითხავთ. მაქვს ეჭვი, რომ ეს ხალხი ნაცმოძრაობის სიებით ატარებს კვლევებს. — განაცხადა ნიკოლოზ მჟავანაძემ.

***— თქვენ გამოიტანეთ პლაკატი, სადაც ეწერა, რომ ენდიაი საქართველოში ანტიდასავლურ განწყობებს აღვივებს. რატომ შეგექმნათ ეს შთაბეჭდილება?***

— ნამდვილად ასეა, ენდიაი ცდილობს, საქართველოში ანტიდასავლური განწყობები შექმნას. მერე რატომ უკვირთ ზოგიერთებს, ევრაზიულ კავშირს 31% თუ უჭერს მხარს. ეს უნდა გაითვალისწინონ ენდიაის ხელმძღვანელებმა. წარმოადგინონ დოკუმენტი, ვინ გამოჰკითხეს. 2012 წელს დადეს კვლევის შედეგები, რომელთა მიხედვით, ბიძინა ივანიშვილს უფრო ნაკლები რეიტინგი ჰქონდა, ვიდრე გიორგი თარგამაძეს, ნაცმოძრაობას სამჯერ მეტი რეიტინგი ჰქონდა. ამ პათოსით ატარებენ კვლევებს ახლაც. შთაბეჭდილება გვრჩება, რომ მათი მიზანი არა კვლევების ჩატარება, არამედ ნაცმოძრაობის ხელისუფლებაში დაბრუნება და ქვეყანაში წინასარევოლუციო ფონის შექმნაა.

***— რით გამოიხატება წინასარევოლუციო ფონის შექმნა?***

— როდესაც ისინი არჩევნების წინ დადებენ კვლევის შედეგებს, თითქოს ნაციონალებს 70% აქვთ, ხოლო სხვა პარტიებს — ნაკლები, არჩევნების შედეგები კი სხვაგვარად გამოცხადდება, ეს ზოგიერთ პოლიტიკურ ძალას უბიძგებს რევოლუციური პროცესებისაკენ.

***— ევრაზიული კავშირის მომხრეთა 31% რეალური შეიძლება იყოს?***

— 31%-ც არის და მეტიც, მაგრამ მათი გაყალბებული კვლევები ასე აჩვენებს. ეს არის დასავლეთის რეაქციების შედეგი. ისინი სააკაშვილს ღიად მხარს უჭერენ, აქ კი არიან ლობისტი არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მათგან ფინანსდებიან. ყოველი მათი გამოჩენა იწვევს ანტიდასავლური განწყობების ჩამოყალიბებას.

***— თქვენ თქვით, რომ ევრაზიული კავშირის მომხრე 31%-ზე მეტი შეიძლება იყოს. ეს დადებითი მომენტია თუ უარყოფითი?***

— ეს ჩემი განსასჯელი არ არის. ყველას აქვს თავისი პოზიციის დაფიქსირების უფლება.

**ლექსო კობაიძე, „ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის" ხელმძღვანელი:**

— ენდიაის კვლევები უკვე გადაიზარდა აბსტრაქტულ კვლევებად, რადგან აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაცია აპელირებს მხოლოდ ნაციონალურ მოძრაობაზე, რასაც ჩვენ არ მივესალმებით. არასამთავრობოები შევიკრიბეთ არა მხოლოდ ენდიაის, არამედ იმის წინააღმდეგაც, ვინც ამ კვლევებს უკვეთს. ქართველი ხალხი ვერ აიტანს იმას, რომ ნაცმოძრაობა ისევ დომინანტი პარტია იყოს. მსგავსი კვლევებით უნდათ, ნაცმოძრაობა გააცოცხლონ.

***— ამ კვლევებს ნაცმოძრაობა აფინანსებს?***

— არ გამოვრიცხავ, რომ ენდიაის კვლევებს ნაცმოძრაობა აფინანსებდეს. ენდიაის კვლევები ყოველთვის არარეალისტურია, მაგრამ, სამწუხაროდ, ზეგავლენას ახდენს ხალხზე.



ვერა თორინტონი



აქციის ორგანიზატორებთან და ჟურნალისტებთან ამერიკული ორგანიზაცია „ენდიაი-საქართველოს" თბილისის ოფისის დირექტორი ვერა თორინტონი გამოვიდა.

***— რას უპასუხებთ აქციის მომწყობებს?***

— პირველ რიგში, ჩვენ ვაღიარებთ ყველა ადამიანის გამოხატვის თავისუფლებას. შესაბამისად, მივესალმებით, თუ რომელიმე ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფს სურს გამოხატოს საკუთარი აზრი ან წინააღმდეგობა ჩვენი კვლევების შედეგებთან დაკავშირებით. ჩვენ და ჩვენი პარტნიორი ორგანიზაცია „სიაისი საქართველო" ვატარებთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის კვლევებს, რომლებიც იძლევა ზუსტ ინფორმაციას, თუ რას ფიქრობენ საქართველოს მოქალაქეები. არანაირი პოლიტიკური მიზნები ჩვენს ორგანიზაციას არ აქვს და არ ამოძრავებს, რადგან ის არის დამოუკიდებელი არაპოლიტიკური ორგანიზაცია. ჩვენი მიზანია, დავეხმაროთ პოლიტიკოსებსა და გარკვეულ ინსტიტუტებს, იცოდნენ მოქალაქეების დამოკიდებულება და მათ საჭიროებებზე მორგებული პოლიტიკა შეიმუშაონ.

***— არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელები ვარაუდობენ, რომ ნაცმოძრაობა გაფინანსებთ.***

— ჩვენ გვყავს დასავლელი დამფინანსებლები. ორი საერთაშორისო ორგანიზაცია გვაფინანსებს: „სიდა" და „იუსაიდი". თუ რაიმე კონკრეტული ინფორმაცია გაინტერესებთ დაფინანსებასთან დაკავშირებით, არავითარი პრობლემა არ არის, მზად ვართ, გაგიზიაროთ.

***— ჯერ კიდევ წინა დირექტორის, ნავაროს პერიოდიდან მოყოლებული, საქართველოში არ ენდობოდნენ იმ ორგანიზაციას, რომელსაც თქვენ ატარებინებდით კვლევებს. რატომ უკვეთთ კვლევებს მაინცდამაინც იმ ორგანიზაციას, რომელსაც ხალხი არ ენდობა?***

—რა თქმა უნდა, სხვადასხვა დამოკიდებულება არსებობს და გავრცელებულია ხმები, რომ ის ორგანიზაცია, რომელსაც ჩვენ კვლევებს ვუკვეთთ, არ არის სანდო, მაგრამ არავის წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ „სიაისი საქართველო" რამენაირად აყალბებს კვლევებს. ჩვენ ამ ორგანიზაციის მიმართ სრული ნდობა გვაქვს.

***— 2012 წელს ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები სრულიად ასცდა იმ მონაცემებს, რაც არჩევნების შემდეგ დაიდო. ამან მაინც არ გაფიქრებინათ, რომ რაღაც წესრიგში არ იყო?***

— ჩვენი კვლევის მიზანი არასოდეს ყოფილა და დღესაც არ არის არჩევნების შედეგების წინასწარმეტყველება. თქვენ, ალბათ, გახსოვთ, რომ ამომრჩეველთა დიდი ნაწილი აცხადებდა, რომ არ იცოდა, ვის მისცემდა ხმას. შესაბამისად, იმის წინასწარმეტყველება, ვინ გაიმარჯვებდა არჩევნებში და, საბოლოო ჯამში, ამომრჩევლები საით გადაიხრებოდნენ, შეუძლებელი გახლდათ. ჩვენი კვლევის შემდეგ მოვლენების განვითარებამ (გამოქვეყნდა ციხის კადრები) დიდი გავლენა მოახდინა ადამიანებზე და მათ გადაწყვეტილებებზე. შესაბამისად, ამის წინასწარმეტყველება შეუძლებელი იქნებოდა იმ პირობებში, როდესაც ადამიანებს არ უნდოდათ, გაეზიარებინათ თავიანთი მოსაზრებები.

***— წლების განმავლობაში თქვენს კვლევებზე ხმაური რომ არის საზოგადოებაში, კვლევების ჩამტარებელი ორგანიზაციის მიმართ მინიმუმ უნდობლობაზე არ მეტყველებს?***

— ალბათ, პრობლემა ისაა, რომ მოქალაქეებს, ადამიანების დიდ ნაწილს, ჯერ არ ესმის, საზოგადოებრივი აზრის კვლევები რას ემსახურება. ბევრ ადამიანს არ ესმის კი არა, უბრალოდ, არ სჯერა საზოგადოებრივი კვლევების.

შორენა მარსაგიშვილი

# დავით დარჩიაშვილი: სააკაშვილი აუცილებლად უნდა ჩამოვიყვანოთ"

## „თავისუფალ დემოკრატებთან ვითანამშრომლებთ"

### გია ვოლსკიმ გერმანელები გადარია

**ითანამშჰომლებენ თუ აჰა ნაციონალები ჰესპუბლიკელებთან, ჰა ინფოჰმაცია მიაწოდა გია ვოლსკიმ გეჰმანელებს, ჰოგოჰ აპიჰებენ სააკაშვილის ჩამოყვანას, ელოდნენ თუ აჰა ჰეიტინგის ზჰდას _ ამის შესახებ 'ახალ თაობას~ ნაცმოძჰაობის ეჰთ-ეჰთი ლიდეჰი, დეპუტატი დავით დაჰჩიაშვილი ესაუბჰება.**

**დავით დარჩიაშვილი:**

— ჩვენთვის სახელისუფლებო ძალის რეიტინგის ვარდნა მოულოდნელობა არ ყოფილა. მათი ქმედებებიდან გამომდინარე ეს მოსალოდნელი იყო, რამაც ჩვენი რეიტინგის აწევა გამოიწვია. რეიტინგის აწევას ნამდვილად ველოდით.

***— „ქართული ოცნების" მესაფლავედ ბევრი ლარის კურსის ვარდნას მიიჩნევს. ეროვნული ვალუტის დევალვირება რომ არა, მეოცნებეთა რეიტინგი ასე გაუფასურდებოდა?***

— ლარის დევალვაცია ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი ფაქტორი ამ ხელისუფლების უუნარობაა. მათი უუნარობა ლარის კურსთან მიმართებაშიც გამოჩნდა. ლარის კურსის ვარდნა ყველას ცხოვრებაზე აისახება. ამის საპასუხოდ ხელისუფლებისგან ხუმრობანარევ უტიფრობას ვიღებთ. ამ არაადეკვატურმა რეაქციამ იქონია ყველაზე დიდი გავლენა მათი რეიტინგის კლებაზე.



***— ხუმრობანარევ უტიფრობაში ნოდარ ხადურის შოკუნიებს გულისხმობთ?***

— პირველ რიგში ბიძინა ივანიშვილის შეფასებები მაქვს მხედველობაში, რადგანაც ის არის ამ ქვეყნის თავი და ბოლო. ბოლო კვლევის შედეგებმაც დაადასტურა, რომ ხალხს არ მოსწონს ივანიშვილის საქციელი. ის დღემდე ერევა გადაწყვეტილებების მიღებაში. რაც შეეხება ხადურის შოკუნიებს, ეს იუმორია, ყოფილი პრემიერი კი უტიფარ განცხადებებს აკეთებს.

***— მის რომელ განცხადებას მიიჩნევთ უტიფრობად?***

— რამდენიმე თვის წინ მან განაცხადა, რომ ლარი ჯანმრთელად იქცევა, ყველა საარჩევნო დაპირება შევასრულე და ა.შ. ამას მოქმედი პრემიერის განცხადებებსაც დავამატებდი. ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, პარლამენტში ისეთი კარგი გამოსვლა მქონდა, ლარი გამყარდაო. აი, ასეთი მთავრობა ყავს ქვეყანას.

***— მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე რა ინფორმაცია გაქვთ? „ქართულ ოცნებაში" უკვე ღიად ამბობენ, რომ რამდენიმე მინისტრი შეიცვლება. შესაცვლელ მინისტრთა სიაში ნოდარ ხადურიც მოხვდა.***

— ეს ხელისუფლება ნორმალური რომ იყოს, მთავრობაში სერიოზულ გადაადგილებებს მოახდენდა. ჩვენ ნორმალურ პირობებში არა ვართ. ივანიშვილის თავში როდის რა მოიხარშება, ამის წინასწარ გამოცნობა ძნელია.

მთავრობა მთლიანად არის შესაცვლელი. ეს საკითხი ჩვენ მარტში დავაყენეთ და თავისუფალი დემოკრატებიც შემოგვიერთდნენ. ახალი მთავრობის დაკომპლექტებაზე მთელ პოლიტიკურ სპექტრს უნდა ეზრუნა. ხადური უნდა წავიდეს, თუმცა მარტო მისი წასვლა, საქმეს ვერ უშველის. მთელი მთავრობა უნდა გამოიცვალოს.

***— თქვენმა კოლეგამ ნუგზარ წიკლაურმა განაცხადა, რომ უკვე დროა მიხეილ სააკაშვილის დასაბრუნებლად აქციები დავიწყოთო. ამასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?***

— ქვეყანაში ისეთი ვითარება იქნება, რომ არავითარი მესამე ძალისთვის ადგილი არ რჩება. საქართველო სერიოზულ კრიზისშია შესული. არის მხოლოდ 2 ძალა. ერთია სახელისუფლებო კლანი, რომელსაც ივანიშვილი მეთაურობს. ისინი ჩაფრენილი არიან სახელისუფლებო ბერკეტებს. მეორე ძალა გახლავთ ნაციონალური მოძრაობა. ხალხი ამ ორ ძალას შორის გააკეთებს არჩევანს. მესამე ძალის არჩევით ექსპერიმენტებს არავინ ჩაატარებს.

***— რატომ იქნება მესამე ძალის არჩევა ექსპერიმენტის ჩატარება?***

— იმიტომ, რომ არავინ იცის რას იზამს ეს მესამე ძალა. ვთქვათ, ირაკლი ალასანიას თავისუფალი დემოკრატები. ჩვენ არ ვიცით როგორ გაუმკლავდებიან ისინი არსებულ გამოწვევებს, განსაკუთრებით მძიმე ეკონომიკურ ვითარებას. აქედან გამომდინარე, არა მგონია საზოგადოებამ მესამე ძალის არჩევაზე იფიქროს.

ამ კვლევების მიხედვით, გამოკითხულთა 27%-ს ჯერ გადაწყვეტილება არ მიუღია თუ ვის დაუჭერს მხარს, მაგრამ ასეთ ვითარებაში მაინც მგონია, რომ არჩევანი ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის გაკეთდება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# აფხაზი ძალოვნები სოხუმში ერთმანეთს დაერივნენ

## მოხსნის თუ არა რაულ ხაჯიმბა შს მინისტრს

შორენა მარსაგიშვილი

**აფხაზეთში ვითარება უკონტროლო ხდება. საქმის გარჩევები და იარაღის ტრიალი აქ ჩვეულებრივი ამბავი გახლავთ. აქამდე თუ ამ საქმიანობას ხულიგნები და კრიმინალები მისდევდნენ, ახლა უკვე სამთავრობო სტრუქტურებმა გაიგდეს ერთმანეთი წიხლქვეშ.**

აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლები ერთმანეთს სასტიკად გაუსწორდნენ. მათ შორის საქმის გარჩევებმა 2 დღეს გასტანა.

ამ ინციდენტს აფხაზეთის ხელისუფლება რამდენიმე დღის მანძილზე მალავდა. თუმცა, როგორც ამბობენ, თივაში ცეცხლი არ დაიმალებაო და ეს ამბავიც გასკდა.

მედიას მომხდარის შესახებ ინფორმაცია თვითმხილველებმა მიაწოდეს. ორივე ინციდენტი დღისით-მზისით მოხდა და მას ბევრი სოხუმელი შეესწრო. არც ექიმები გაჩუმებულან მაინცდამაინც.

აფხაზური მედიის ცნობით, 2-დღიანი საქმის გარჩევების შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა. 4 მათგანი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

2 დაშავებული შსს-ს ანგარიშზეა, 2-იც — სახელმწიფო დაცვის სამსახურის. დაშავებულთაგან 2 პიროვნება რეანიმაციის განყოფილებაშია. შსს-მ და დაცვის სამსახურმა რეანიმაციის საწოლებიც ძმურად გაიყვეს.

ამ ინციდენტს აფხაზეთის ხელისუფლებაში დიდი ამბები მოჰყვა. 2 დღის წინ, 13 მაისს, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება აფხაზეთის შს მინისტრმა რაულ ლოშუამ დაწერა.

თავიდან ამბობდნენ, რომ რაულ ხაჯიმბამ შს მინისტრის განცხადება დააკმაყოფილა, მოგვიანებით კი პრეზიდენტის ადმინისტრაციამ ეს ინფორმაცია უარყო.

მომხდარის შეფასებისგან აფხაზეთის ხელისუფლების წარმომადგენლები თავს იკავებენ. დუმილის უფლებას იყენებს ჯერ ისევ შს მინისტრის პოსტს შემორჩენილი ლოშუა.

ჟურნალისტების ზარებს არც აფხაზეთის სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი ანრი ბუბუა პასუხობდა. ადგილობრივი მედიის გარდა, მან არც რუსული მედია დააფასა.

ანრი ბუბუას მობილური გამორთული ჰქონდა, ხოლო სამსახურში აცხადებდნენ, რომ ის გასული იყო და ამ მიზეზით ტელეფონს ვერ უპასუხებდა.

მედიამ მომხდარის შესახებ რაღაცების გარკვევა მაინც შეძლო.

ძალოვანთა ჯახს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უამრავი თვითმხილველი ჰყოლია. ინტერნეტგამოცემა „ეხო კავკაზასთან“ საუბარში ერთ-ერთი თვითმხილველი მომხდარს დეტალურად იხსენებს.

მისი ინფორმაციით, 7 მაისს, დაახლოებით 17 საათზე, შსს-ს 2 თანამშრომელი სანაპიროზე, სასტუმრო „რიწის“ პირდაპირ პატრულირებდა.

ამ დროს მათთან სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლები მივიდნენ. ისინი ათნი იყვნენ. მისულებმა ერთ-ერთ მილიციელს საქმის გარჩევა დაუწყეს. რაღაც ძველ კონფლიქტს იხსენებდნენ თურმე.





თავდაპირველად მხარეებს შორის სიტყვიერი დაპირისპირება იყო მხოლოდ. მოგვიანებით დაპირისპირება ხელჩართულ ჩხუბშიც გადაიზარდა.

— იმის გამო, რომ რიცხობრივი უპირატესობა დაცვის სამსახურის მხარეს იყო, მათ 2 მილიციონერს გვარიანად სცემეს. ისე გვარიანად, რომ ორივე მათგანი საავადმყოფოში მოხვდა. ერთ-ერთი რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს. მას ყბების მოტეხილობა აღენიშნება, — აცხადებს ინციდენტის თვითმხილველი.

მომხდართან დაკავშირებით ადგილობრივმა სამხედრო პროკურატურამ მაშინვე აღძრა სისხლის სამართლის საქმე.

ჩხუბის დამწყები დაკითხვაზეც დაიბარეს. რამდენიმე საათის შემდეგ გამოუშვეს, ოღონდ სოხუმიდან გაუსვლელობის ხელწერილი ჩამოართვეს.

ამან შსს-ს თანამშრომლების აღშფოთება გამოიწვია. ისინი ისედაც გაღიზიანებულები იყვნენ. მათ ერთი თავიანთი კოლეგის ცემის ფაქტიც არ ჰქონდათ მონელებული — ცოტა ხნის წინ ხულიგნებმა სოხუმში მილიციის კაპიტანს სასტიკად სცემეს. დამნაშავეები მაშინვე დააკავეს. მათ დანაშაული აღიარეს, მაგრამ ისინი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამო აფხაზეთის შსს-ს თანამშრომლები სერიოზულად აღშფოთდნენ. ამას სამხედრო პროკურატურის გადაწყვეტილებაც დაემატა.

სამართალდამცავებმა გადაწყვიტეს, სხვანაირად გაესწორებინათ ანგარიში. 8 მაისს მათ 7 მაისის ჩხუბის ინიციატორი აფხაზეთის სახელმწიფო თეატრის სიახლოვეს გამოიჭირეს.

მას რაღაცაზე შარი მოსდეს, ჩხუბი აუტეხეს და მის მილიციის განყოფილებაში წათრევას შეეცადნენ.

დაცვის სახელმწიფო სამსახურის თანამშრომელი ჯანიანი ბიჭი აღმოჩნდა. მან მილიციას გვარიანი წინააღმდეგობა გაუწია. ამასობაში მისი კოლეგაც გამოჩნდა არენაზე და სოხუმმა მორიგი ცემა-ტყეპა იხილა.

ამჯერად რიცხობრივი უპირატესობა მილიციონერების მხარეს იყო. მათ დაცვის სამსახურის თანამშრომლები სერიოზულად გალახეს.

განსაკუთრებული სისასტიკით წინა დღის ჩხუბის წამომწყებს გაუსწორდნენ. ეს ადამიანი რეანიმაციის განყოფილებაში მოხვდა.

11 მაისის საღამოს სოხუმის მილიციის მთავარ სამმართველოში აფხაზთა ლიდერი რაულ ხაჯიმბა მივიდა. მას ეზოში მილიციის განყოფილების უფროსი დიმიტრი დბარი და განყოფილების სხვა თანამშრომლები შეეგებნენ.

როგორც თვითმხილველები ამბობენ, ხაჯიმბამ დბარი და მისი სამწყსო გვარიანად გამოლანძღა. მან დიმიტრი დბარს ესეც არ აკმარა და მოსთხოვა, სასწრაფოდ დაეტოვებინა თანამდებობა.

დიმიტრი დბარი 11 მაისს წავიდა. 13 მაისს კი თანამდებობა მისმა 2-მა მოადგილემაც დატოვა. 13 მაისს თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება შს მინისტრმაც დაწერა, რომელიც ჯერ პრეზიდენტს არ დაუკმაყოფილებია.

მართალია, კონფლიქტი დაცვის სამსახურის თანამშრომლების გამო დაიწყო, მაგრამ ამ უწყებიდან არავინ გაუთავისუფლებიათ.

# დავით დარჩიაშვილი: სააკაშვილი აუცილებლად უნდა ჩამოვიყვანოთ“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

***— რა მოხდება იმ შემთხვევაში თუ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდა. მასზე შიდა ძებნაა გამოცხადებული და გაბედავს ხელისუფლება ექსპრეზიდენტის დაპატიმრებას?***

— ამათგან არაფერი არ გამიკვირდება. ძალოვანი სტრუქტურები დღეისათვის პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებენ. ასეთ ვითარებაში დიდია იმის ალბათობა, რომ სააკაშვილს დაბრუნების შემთხვევაში დააკავებენ, რაც სიტუაციას კიდევ უფრო გაამწვავებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ სააკაშვილი საქართველოში დაბრუნდეს.

***— აქციებსაც გამართავთ?***

— კანონით გათვალისწინებულ ყველა გზას გამოვიყენებთ.

***— სააკაშვილი დაბრუნების მოთხოვნით აქციები თუ დაიწყო, ამას დაპირისპირება არ მოყვება? საზოგადოების ნაწილი მისი დაბრუნების კატეგორიული წინააღმდეგია.***

— ასეთი ხალხი ბევრი არ არის. სულ რამდენიმე პროცენტზეა საუბარი. ხელისუფლება გამუდმებით ამ ხალხით აპელირებს და ამტკიცებენ, რომ თითქოს მთელი საზოგადოება ასე ფიქრობს. არადა ისინი მხოლოდ ინაშვილის მხარდამჭერები არიან და იმავდროულად ივანიშვილსაც უჭერენ მხარს.

ამ რამდენიმე პროცენტის დაბრმავებულ სიძულვილს ქვეყანას ნამდვილად არ გადავაყოლებთ. ასეთ ვითარებაში საპროტესტო აქციების გამართვა ჩვეულებრივი მოვლენაა. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ რამდენიმე ჩვენი თანამებრძოლი დაპატიმრებულია. ისინი კანონის დარღვევით დააკავეს. ეს არის თემა, რომელსაც გამუდმებით უნდა ვაპროტესტებდეთ.



ამასწინათ გერმანელ კოლეგებთან შეხვედრაზე ქვეყანაში არსებულ პრობლემებზე და უსამართლობაზე ვისაუბრეთ. გია ვოლსკიმ ჩვენ შენიშვნებზე საოცარი რამ უთხრა გერმანელებს. ჩვენზე უთხრა, ეს ის ხალხია, რომლებმაც ხელისუფლებაში ყოფნის დროს საზოგადოების დიდი ნაწილი მოკლა ან გააუპატიურაო.

ამ ნათქვამმა გერმანელებიც კი გააოგნა. ჰიტლერმა უამრავი საშინელება ჩაიდინა, მაგრამ მასზეც კი ვერ იტყვი, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი მოკლა ან გააუპატიურა. ეს შეიძლება თქვა სტალინზე, რომელიც მართლა ასე იქცეოდა. სტალინს ღარიბაშვილი აქებს და ადიდებს. ასეთ ვითარებაში საპროტესტო მუხტი გაიზრდება. აქციებს აუცილებლად დავიწყებთ. საერთოდ არ გვაინტერესებს, რას იტყვიან ამაზე ინაშვილი და ივანიშვილი.

— ბოლო დროს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ ნაციონალები თავისუფალ დემოკრატებთან და რესპუბლიკელებთან აპირებთ გაერთიანებას. მართლა ეგეგმება ასეთი ერთობის შექმნა?

— ამ პოლიტიკურ ძალებთან რამე ტიპის გაერთიანების შექმნა წარმოუდგენლად მიმაჩნია. მათ თავიანთი სათქმელი ექნებათ. ჩვენ ბევრი გვაქვს სასაყვედურო როგორც თავისუფალი დემოკრატებისთვის, ასევე რესპუბლიკელებისთვის.

— თავისუფალ დემოკრატებთან რა გაქვთ სასაყვედურო?

— ისინი თითქმის 2 წლის მანძილზე იყვნენ ხელისუფლებაში. მათი ლიდერი თავდაცვის მინისტრი იყო და პოლიტიკურ დევნაში თითქოს მას წვლილი არ მიუძღვის, მაგრამ ასეთი რამეები მისგანაც გვახსოვს. არავის დაავიწყდება გიგი კალანდაძის დაკავების ისტორია. სანამ ეს ამბავი თავისუფალ დემოკრატებს თავად არ შეემთხვათ, მანამდე ხელისუფლების ქმედებები არ გაუკრიტიკებიათ, ყველაფერი მოსწონდათ.

— რესპუბლიკელებთან რა პრეტენზიები გაქვთ?

— ძალიან მინდოდა მათში პროდასავლური ძალა დამენახა.

— მათ ყველა პროდასავლურ ძალად თვლის და თქვენ რატომ ვერ ხედავთ? რაიმე იცით მათზე?

— მეც ძალიან მინდა რომ მათში პროდასავლური ძალა დავინახო. თუმცა ამდენი ხნის მანძილზე ივანიშვილის გვერდით დგომა და მისთვის ანტურაჟის შექმნა გულწრფელი პროდასავლურობა არ არის.

— გადაჭრით ამბობთ ამ ძალებთან თანამშრომლობაზე უარს?

— როდესაც ქვეყანას გადარჩენა ესაჭიროება, მაშინ თავისუფალ დემოკრატებთან რაღაც დონეზე შეიძლება თანამშრომლობა. რიგ საკითხებზე არაერთხელ დაგვიფიქსირებია ერთნაირი პოზიცია.

რესპუბლიკელებთან გაცილებით რთულად არის საქმე. ისინი დღემდე რჩებიან ივანიშვილთან და მის მხარეს ვერაფერი მოწყვეტს.

# გიორგი მარგველაშვილი: წინ უფრო დიდი გამოწვევაა“

— ქართული პოლიტიკური ცხოვრება იმ ჭეშმარიტებამდე უნდა მივიდეს, რომ არსებობს ორი, სამი, ოთხი, ხუთი შეხედულება და ჭეშმარიტება არა ხუთიდან ოთხის გაქრობაში, არამედ დიალოგის სივრცის შენარჩუნებაშია, -— განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა ილიას უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხვედრისას.

პრეზიდენტის თქმით, ბოლო 20 წელზე მეტი ხნის განმავლობაში განსხვავებულების გაქრობამ ქვეყანას წინსვლა ვერ მოუტანა.

გიორგი მარგველაშვილი:

— წინ უფრო დიდი გამოწვევაა, რათა ავაშენოთ რეალურად ევროპული, დემოკრატიული საზოგადოება, სადაც პლურალიზმი და განსხვავებულის მიღება არა ინდივიდუალურ, არამედ პოლიტიკურ დონეზე, განსხვავებულთან ერთად არსებობა, განსხვავებულთან ერთად ერთიანი პოლიტიკური სისტემის შენარჩუნება და განვითარება იქნება შესაძლებელი. თუ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას ამ თვალსაზრისით შევხედავთ, დავინახავთ, რომ სამწუხაროდ, ასეთი აქტიური არ არის. ჯერ კიდევ ძალიან ბევრი ადამიანი მიიჩნევს, რომ ჩვენი პრობლემების პასუხი და რეალურად ქვეყნის განვითარება განსხვავებულის — პოლიტიკურად განსხვავებული შეხედულების მქონეს, ან გარკვეულ ღირებულებებში განსხვავებული მქონე ჯგუფის გაქრობაშია და ამ შემთხვევაში გავალთ ფონს.

პრეზიდენტი ილიას უნივერსიტეტში ამავე უნივერსიტეტის სოციალური კვლევებისა და კულტურის ინსტიტუტის ფარგლებში მოქმედი პროექტის გამო მივიდა, რომელიც საუკეთესო ევროპული უნივერსიტეტებიდან ევროპელი მკვლევარების, პროფესორების ჩამოყვანას და მათ მიერ რეგულარული ლექციასემინარების ჩატარებას ითვალისწინებს. პროექტი პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის მხარდაჭერით სრულდება.

მედიანიუსი

# ირაკლი ღარიბაშვილი: საქართველო დღეს სულ სხვა ქვეყანაა



საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, საქართველო დღეს სრულიად სხვა ქვეყანაა და განსხვავდება იმისგან, რაც 2 ათეული ან თუნდაც 2 წლის წინ იყო.

ღარიბაშვილის თქმით, ქვეყანა ძალიან ბევრი მიმართულებით ვითარდება და რეგიონში დემოკრატიის განვითარების, კორუფციასთან ბრძოლისა და სტაბილური ბიზნესგარემოს თვალსაზრისით, წამყვანი ქვეყანაა.

ამის შესახებ პრემიერმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის შეხვედრებისა და ბიზნესფორუმის ფარგლებში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით გამართულ იბიარდ-ის მასპინძელი ქვეყნის საინვესტიციო სესიაზე განაცხადა.

— საქართველო დღეს სრულიად სხვა ქვეყაანაა. განსხვავებულია იმისგან რაც იყო 2 ათწლეულის ან თუნდაც 2 წლის წინ. ძალიან ბევრი მიმართულებით ქვეყანა ვითარდება. ეს მიმართულებებია: ჯანდაცვა, განათლება, ქვეყნის სტაბილურობა და ა.შ. მთელმა რიგმა საერთაშორისო რეიტინგებმა დაგვანახა, რომ საქართველო დემოკრატიის განვითარების, კორუფციასთან ბრძოლის და ბიზნესგარემოს სტაბილურობის თვალსაზრისით, დღეს რეგიონში ლიდერი და წამყვანი ქვეყანაა, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ნიუსპრესი

# აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაფართოების შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს

ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, აბაშიძე-კარასინის ფორმატის გაფართოებაზე მოლაპარაკებები მიმდინარეობს.

მისივე თქმით, ამ ეტაპზე, კონკრეტიკაზე საუბარი ნაადრევია.

— აბაშიძე-კარასინის ფორმატის შესახებ ინიციატივა გამოითქვა, რომ ეკონომიკური კუთხით გაფართოვდეს. კონკრეტიკაზე საუბარი ნაადრევია. ამის შესახებ მოლაპარაკებები მიმდინარეობს. რუსეთ-საქართველოს შორის ისედაც გვაქვს დიალოგი სავაჭრო და ეკონომიკურ საკითხებზე, ალბათ, ამ მიმართულებით იქნება დიალოგის გაფართოების საშუალება, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გრიგორი კარასინის შეხვედრა პრაღაში, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ივნისში გაიმართება.

ნიუსპრესი

გულიკო ბალაძე

# დავით თევზაძე: თინა ხიდაშელმა კურსები უნდა გაიაროს“

**ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით თევზაძე მოქმედ მინისტრ თინა ხიდაშელს უპირისპირდება. მისი თქმით, ხიდაშელი ოპერატიულ მართვაში ერევა, რაც თევზაძის თქმით, ფუნქციების აღრევას იწვევს და ჯარის განვითარებას აფერხებს. რა კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თავდაცვის მინისტრი, მისცემს თუ არა ექს-მინისტრი ხიდაშელს რჩევებს — ამ თემებზე დავით თევზაძე ჟურნალისტებს ესაუბრა.**

***— რა აუცილებელ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს თავდაცვის მინისტრი?***

— როგორი უნდა იყოს თავდაცვის მინისტრი, პოლიტიკური გემოვნების საქმეა. პოლიტიკურ გემოვნებაში კრიტერიუმები არ არსებობს. როდესაც გარედან მოსული ადამიანები თავდაცვის მინისტრებად იქცევიან, სხვაგვარად იქცევიან. ვიდრე თინა ხიდაშელი განცხადებას გააკეთებდა, ვიდრე ვინმეს შენიშვნას მისცემდა, ვიდრე ვინმეს შენიშვნას უპასუხებდა, ჯობდა, გარკვეული იყო, რასთან აქვს საქმე. არის ქვეყნები, სადაც სპეციალური კურსებია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც პირველად შედიან თავდაცვის უწყებაში.

ყოფილი მინისტრი კოლეგას ჩამის და ქცევის წესსაც უწუნებს.

**დავით თევზაძე:**

— დღეს ის რომ იდგა გაღერილი ჯარის წინ, ხვალ ის ჯარი ისევე დაუდგება თავდაცვის მინისტრს, ანუ პრობლემებია. ამიტომ სჯობს ახლა მოისმინოს, გააანალიზოს, პასუხი არაფერს



გასცეს და იმოქმედოს ისე, როგორც ეკუთვნის მოქმედება. ალბათ გახსოვთ, რუსებს ჰყავდათ ერთი მინისტრი, რომელიც მოიყვანეს ვაჭრობის სფეროდან, მაგრამ მისთვის გენშტაბში შეიქმნა სპეციალური კურსები და რამდენიმე თვე მას არ დაეზარა და სწავლობდა. რა ისწავლა, სხვა საქმეა. თავდაცვის მინისტრების კლუბის შექმნის ინიციატივა, არაფრის მომტანი არ არის, პიარსვლაა. ერთ პერიოდში მსგავსი პიარსვლა ჰქონდა ალასანიას, ხან მე მთხოვა შეხვედრა, ხან — სხვა გენერლებს, მაგრამ ყველა ბითურებად დატოვა საბოლოო ჯამში.

***— რას ნიშნავს ოპერატიულ მართვაში ჩარევა? შეცდომაა თუ დანაშაულია?***

— დანაშაულია. ოპერატიულ მართვაში ჩარევის კლასიკური ნიმუში იყო 2008 წელს, როდესაც ქალაქ თბილისის მერი ჩასული იყო სხვა ქალაქში და მართავდა სამხედრო ოპერაციას.

***— თავდაცვის მინისტრის ოპერატიულ მართვაში ჩარევა რას მოასწავებს?***

— პირველ რიგში, ფუნქციების აღრევას მოასწავებს. თუ ასეთ პრაქტიკას არ დაანება თავი, შემდეგ, როდესაც ის დატოვებს თანამდებობას, ჯარი იქნება უფრო უკან სტრუქტურულად და სხვა მხრივ, ვიდრე დღეს არის. არავითარი მრჩევლების ინსტიტუტი ამას არ უშველის — არც აქაური მრჩევლების, არც უცხოელი. სამოქალაქო თავდაცვის მინისტრის ფუნქციაა, ქვეყნის მიერ არჩეული პოლიტიკის სამხედრო ასპექტის მართვა. მინისტრს ასევე ევალება, თავდაცვის უწყებაში მიიტანოს ის ბიუჯეტი, რომელიც აუცილებელია ჯარის შემდგომი განვითარებისთვის. თინა ხიდაშელი გუნდის წევრია, პარლამენტის წევრი იყო და კარგი დასაყრდენი აქვს პარლამენტში.



არიან ქვეყნები, რომლებსაც თავდაცვის მინისტრებად ჰყავთ სამოქალაქო პირები, მათ შორის, მდედრობითი სქესის, მაგრამ მათ თანაშემწეებად ჰყავთ მაღალი რანგის სამხედრო პირები, არანაკლებ გენერლისა.

— თინა ხიდაშელმა განაცხადა, რომ ის ყველა თავდაცვის მინისტრს მიიწვევს, ვისაც კანონთან პრობლემა არ აქვს. კლუბს შექმნის და ითანამშრომლებს მათთან.

მას შეუძლია შექმნას რაც უნდა. მისი კერძო საქმეა, მაგრამ კლუბში გაწევრიანდება ვინმე თუ არა, მასაც უნდა დაეკითხოს, უნდა თუ არა მის ფანკლუბში მონაწილეობა.

## იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმის განხილვა 28 მაისს გაიმართება



თბილისის საქალაქო სასამართლოში, იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე ბრალდებულ გია სოსანაშვილის მიმართ წინასასამართლო სხდომა მიმდინარე წლის 28 მაისს გაიმართება.

მთავარი პროკურატურის ცნობით, მოსამართლემ მხარეების მიერ წარდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე საქმის არსებით სხდომაზე გადაცემის საკითხი უნდა განიხილოს, რის შემდეგაც სასამართლო სხდომები კვლავ თბილისის საქალაქო სასამართლოში გაგრძელდება.

რაც შეეხება გია სოსანაშვილის მიერ საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარების ბრალდებას, იგი ძირითად საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო და დანაშაულის ჩადენის ადგილის მიხედვით, მიმდინარე წლის 5 მაისს განსახილველად გაიგზავნა გორის რაიონულ სასამართლოში.

როგორც უწყებაში აცხადებენ, მიმდინარე წლის 11 მაისს, გორის რაიონულ სასამართლოში წინასასამართლო სხდომა გაიმართა, სადაც მოსამართლემ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებების მოპოვების კანონიერება სრულად გაიზიარა, რის საფუძველზეც ჩათვალა, რომ გია სოსანაშვილის მიმართ საქართველოს სსკ 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში დევნის შეწყვეტის საფუძველი არ არსებობდა და საქმე არსებითად განსახილველად გადასცა.

აღნიშნული საქმის არსებითი განხილვა გორის რაიონულ სასამართლოში მიმდინარე წლის 18 მაისს დაიწყება.

იური ვაზაგაშვილის მკვლელობის საქმეზე, გიორგი სოსანაშვილის მიმართ გამოძიება საქართველოს სსკ-ის 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გრძელდება, რაც სასჯელის სახედ და ზომად16-დან 20 წლამდე ვადიანი თავისუფლების აღკვეთას ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ნიუსპრესი

## ქობულეთში სასტუმროების შემოწმება დაიწყება

ადგილობრივი ხელისუფლება ქობულეთში სასტუმროების მეპატრონეებს იმ ძირითად რეკომენდაციებს აძლევენ, რომელთა გათვალისწინებაც სავალდებულოდ მოუწევთ.

ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენაზე და ელექტროსადენების შემოწმებაზე სპეციალური შეხვედრა გაიმართა, სადაც ასევე, გადაწყდა, რომ ტურისტული სეზონის დაწყებამდე ყველა სასტუმრო შემოწმდება, ამისათვის კი შესაბამისი სპეციასლისტებით დაკომპლექტებული კომისია შეიქმნება.

— გამგეობამ გადაწყვიტა, ის ძირითადი ღონისძიებები დასახოს, რომელიც სასტუმროებში მკაცრად გააკონტროლებს სახანძრო უსაფრთხოების წესებს. ორ და მეტ სართულიანი სასტუმროს მშენებლობა არ შეიძლება ხის მასალისგან იყოს აგებული, რაც კონკრეტულ შემთხვევაში გვქონდა, — განაცხადა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელმა ხუსეინ სირაბიძემ.

ქობულეთში, აღმაშენებლის გამზირზე, სასტუმრო „ჰასანაში“ 10 მაისს გაჩენილ ხანძარის შედეგად 3 ბავშვი გარდაიცვალა. ტრაგედიის მიზეზად რამდენიმე შესაძლო ვარიანტი განიხილება, მათ შორის, კონდინციონერის ან ელექტროსადენების მოუწესრიგებლობა და სიგარეტის ნამწვავი.

ნიუსპრესი

## მთავარი პროკურორი სამუშაო ვიზიტით ხორვატიაში იმყოფება

საქართველოს მთავარი პროკურატურის დელეგაცია მთავარი პროკურორის გიორგი ბადაშვილის ხელმძღვანელობით ხორვატიაში, რესპუბლიკის სახელმწიფო პროკურორის დინკო ცვიტანის ოფიციალური მიწვევით, ქალაქ ზაგრებში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში, საქართველოს მთავარ პროკურატურასა და ხორვატიის რესპუბლიკის სახელმწიფო პროკურატურას შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა, რომელიც დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, გამოცდილების გაზიარებასა და ამ მიზნით მომავალში ერთობლივი სემინარებისა და სამუშაო შეხვედრების ჩატარებას ითვალისწინებს.



მთავარი პროკურატურის პრეს-სამსახურის ცნობითმ ვიზიტის ფარგლებში ასევე სამუშაო შეხვედრები ხორვატიის რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელობასთან და ადგილობრივი საგამოძიებო უწყებების წარმომადგენლებთანაა დაგეგმილი.

საქართველოს მთავარი პროკურატურა იმედოვნებს, რომ ვიზიტის შედეგები უწყებებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და კიდევ უფრო ეფექტურად წარმართვის მყარი საფუძველი გახდება.

ნიუსპრესი

## მამუკა არეშიძე: პანკისის ხეობიდან სირიაში ორი გოგონა წავიდა“

ექსპერტ მამუკა არეშიძის განცხადებით, პანკისიდან სირიაში ორი ახალგაზრდა გოგო იმყოფება.

ისინი სირიაში მოჯახედების ცოლების სტატუსით ჩავიდნენ.



— საქართველოს კონსტიტუციიდან გამომდინარე, შეუძლებელია, ზრდასრული ადამიანი საზღვარზე დააკავო და არ გაუშვა, ეს კანონის დარღვევაა, — განუცხადა ექსპერტმა „სპუტნიკ-ჯორჯიას“ იმ სირთულეებზე საუბრისას, რომელიც პანკისის ხეობიდან საქართველოს მოქალაქეების გადინებასთან დაკავშირებით არსებობს. მისი შეფასებით, პრობლემის მოგვარება რთულია, თუმცა შესაძლებელია — აგენტურული ქსელის კარგი მუშაობითა და სათანადო იდეოლოგიის შემუშავებით.

— აგენტურა როგორ მუშაობს, ვერ გეტყვით, მაგრამ რაც შეეხება იდეოლოგიას, სამწუხაროდ , იდეოლოგია საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ არ ჰქონდა და ახლაც არ აქვს, — აღნიშნა მამუკა არეშიძემ.

ნიუსპრესი

## აზერბაიჯანის მოქალაქე დააჯარიმეს

საბაჟო გამშვებ პუნქტ „თბილისის აეროპორტი“ შსს დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საავიაციო უშიშროების სამმართველოს ინფორმაციის საფუძველზე, აზერბაიჯანის მოქალაქე ი. რ.-ს არადეკლარირებული თანხა — 24.960 აშშ დოლარი აღმოაჩნდა.

შემოსავლების სამსახურის პრესცენტრის ინფორმაციით, აზერბაიჯანის მოქალაქე საქართველოდან მიემგზავრებოდა, როცა შემოსავლების სამსახურის მებაჟე ოფიცრებმა მას ბარგის დათვალიერებისას აღნიშნული თანხა აღმოუჩინეს.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 289-ე მუხლის მე 13-ე ნაწილის თანახმად, აზერბაიჯანის მოქალაქეს სანქციის სახით 3.000 ლარის ოდენობით ფულადი ჯარიმა შეეფარდა.

ნიუსპრესი

## თემქაზე უბედურ შემთხვევას 2 წლის ბავშვი ემსხვერპლა

თბილისში, თემქის დასახლებაში, 2 წლის ბავშვი მე-4 სართულიდან გადმოვარდა.

სამწუხაროდ, ბავშვის გადარჩენა ვერ მოხერხდა.

როგორც საინფორმაციო სააგენტო „ნიუსპრესს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე საქმე 116-ე მუხლით აღიძრა, რაც გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობას გულისხმობს.

ნიუსპრესი

## შუახევში ორი ახალგაზრდა მამაკაცი მდინარეში დაიხრჩო

შუახევის მუნიციპალიტეტის შუბნის თემში, სოფელ დარჩიძეებში 22 და 24 წლის ბიჭები გარდაცვლილები იპოვეს.

შუახევის გამგებლის ტარიელ ებრალიძის ინფორმაციით, სავარაუდოდ, ნისლის გამო, მათ გზა აებნათ, მდინარე ჩირუხსწყალში ჩავარდნენ და დაიღუპნენ.

ცხედრები შემთხვევის ადგილიდან 200 მეტრის მოშორებით იპოვეს.

სამაშველო სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში მიმდინარეობდა.

ნიუსპრესი

გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!
[illegible]
სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე
[illegible] 3-5 [illegible]
[illegible] ქ-ნი [illegible]
მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ქართველი მეღვინეები რუსი პარტნიორებისგან ფულს სასამართლოს გზით იბრუნებენ



**ქართველი მეღვინეები რუსი პარტნიორებისგან დავალიანების ამოღებას არბიტრაჟის გზით ცდილობენ.**

წლის დასაწყისიდან ღვინის კომპანიების ნაწილს რუსეთში პროდუქციის ექსპორტის პრობლემა შეექმნა.

კომპანიები აცხადებდნენ, რომ დისტრიბუტორი კომპანიების ნაწილი გაკოტრდა და თანხების ჩარიცხვას ვერ ახერხებდა.

□თელავის ღვინის მარნის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე □კომერსანტთან" აცხადებს, რომ რუსეთში გადატვირთვების პრობლემა ისევ არსებობს, კომპანიების ნაწილი გადახდისუუნარო გახდა, ამის გამო ქართული კომპანიების ნაწილმა ვერ აიღო თანხები. ამასთან, ზურაბ რამაზაშვილი ამბობს, რომ კომპანიების ნაწილი სასამართლოს, ნაწილი კი არბიტრაჟის მეშვეობით ცდილობს თანხების ამოღებას.

მისივე თქმით, ეს ნორმალური პროცესია და სირთულეები მოსალოდნელი იყო. თუმცა, მათ კრიზისმა მეტი გამოცდილება შესძინა და ახლა ისინი კონტრაქტებს და მოთხოვნებს გადახდებთან დაკავშირებით გაამკაცრებენ მოულოდნელობებისგან თავის დასაცავად.

ზურაბ რამაზაშვილი ამბობს, რომ პირველი 4 თვის მონაცემებით მათ კომპანიაში ექსპორტის კლება გასულ წელთან შედარებით 32%-ია, რაც ძირითადად რუსეთსა და უკრაინაში მიმდინარე პროცესებს უკავშირდება, თუმცა ზრდა არის სხვა ბაზრებზე.

რამაზაშვილის თქმით, ამ ეტაპზე გარკვეული გამოცოცხლება დაიწყო და მიუხედავად კრიზისული სიტუაციისა, გეგმავენ უფრო მეტად გააქტიურებას, რადგან ქართული ღვინისთვის რუსეთი და უკრაინა ტრადიციული ბაზრებია და მათზე ქართული ღვინის გაყიდვების მიმართ ოპტიმისტურად არიან განწყობილი.

---

□შუხმან ვაინს ჯორჯიას" გენერალური დირექტორის განცხადებითაც, რუს პარტნიორებს ფინანსური პრობლემები დღემდე აქვთ. ნუცა აბრამიშვილის თქმით, მათთან ინდივიდუალური მუშაობის საფუძველზე, გარკვეული შეღავათების და გრაფიკის შედგენის პირობებში, თანხის ამოღება ხორციელდება.

აბრამიშვილი ამბობს, რომ ამ ეტაპზე გადმორიცხვების პრობლემები არც რუსეთიდან და არც უკრაინიდან არ არსებობს. მისივე განმარტებით, □შუხმან ვაინს ჯორჯიას" სტრატეგიაა საექსპორტო პორტფელში რუსეთის წილის შემცირება და მიმდინარე წელსაც რუსეთის წილი დაახლოებით 30%-ია, ამიტომ ექსპორტის შემცირება მათ კომპანიაზე მნიშვნელოვნად არ ასახულა.



მისივე თქმით, სხვა ბაზრებზე, სადაც საქართველო მცირედით ან საერთოდ არ იყო წარმოდგენილი, გაყიდვების ზრდა ფიქსირდება. ამიტომ □შუხმან ვაინს ჯორჯია" მიმდინარე წელსაც გასული წლის ანალოგიურად მილიონნახევარი ბოთლის გაყიდვას გეგმავს.

სალომე სოსელია, კომერსანტ.გე

# ხადური: გადადგომას არ ვაპირებ"



გუშინ, 14 მაისს, გავრცელდა ხმები ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის გადადგომის შესახებ.

თავად მინისტრმა ამ ინფორმაციას ჭორს უწოდებს.

— მე ვფიქრობ, ახლა ჭორებზე საუბრის დრო არ არის, საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ტარდება. ვიღაც ჭორებით ცდილობს ამის გადაფარვას, რაც, მე ვფიქრობ, არ არის სწორი, — ასე უპასუხა ხადურმა მედიას.

რაც შეეხება უშუალოდ ლარის კურსს, ფინანსთა მინისტრის განმარტებით, კურსის ასეთი ცვალებადობა არ არის განპირობებული არანაირი ეკონომიკური საკითხებით.

— ლარის კურსთან დაკავშირებით, აბსოლუტურად მიუღებელია ის, რაც დღეს ხდება საქართველოში. კურსის ასეთი ცვალებადობა არ არის განპირობებული არანაირი ეკონომიკური საკითხებით, იმიტომ, რომ ბოლო დღეებში პირიქით გაიზარდა ქვეყანაში შემოდინებები, ოდნავ გაიზარდა ექსპორტი და შემცირდა იმპორტი. ასე, რომ ვფიქრობ, ჩვენ გვექნება კომუნიკაცია ეროვნულ ბანკთან და დავსვამთ კითხვებს, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

# თბილისის მერია 650 ეკოლოგიურ ავტობუსს შეიძენს

თბილისის მერია 650 ეკოლოგიური ავტობუსის შეძენას გეგმავს.

როგორც თბილისის მერმა დავით ნარმანიამ იბიარდის კონფერენციაზე განაცხადა, ეს იქნება მნიშვნელოვანი ინვესტიცია მწვანე საქალაქო ინფრასტრუქტურის განვითარებაში.

— ეს ევროპული სტანდარტების ავტობუსები ბუნებრივ აირზე იმუშავებენ, აღიჭურვებიან ევრო-6 ძრავით და შეზღუდული შესაძლებლობების პირთა საჭიროებისათვის გათვალისწინებული მექანიზმებით, — განაცხადა ბ-მა ნარმანიამ.

მისივე თქმით, მთლიანობაში ეკოლოგიური მიმართულება, მწვანე სივრცეების დაფუძნება, შესაბამის ინფრასტრუქტურაში ინვესტირება, ქალაქის გამწვანება და ურბანული პროექტების განხორციელებისას მწვანე პლატფორმაზე დაყრდნობა თბილისის ხელისუფლების მტკიცე გადაწყვეტილებაა.

დავით ნარმანიამ იმედი გამოთქვა, რომ ისეთი მნიშვნელოვანი პარტნიორი, როგორიც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკია, ამ პროცესში საქართველოს ტექნიკურ თუ სხვა სახის დახმარებას აღმოუჩენს.

# სოკარი": კარბამიდის ქარხნის მშენებლობა კალაძეს არ შეუჩერებია"

**„სოკარი" სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას არანაირ სუბიექტურ თუ სხვა ფაქტორებს გავლენა არ მოუხდენია**



2012 წელს დაანონსდა, რომ ყულევში კარბამიდის ქარხანა უნდა აშენებულიყო. ქარხანას ყოველდღიურად 1.200 ტონა ამიაკი და 2.000 ტონა კარბამიდი უნდა გამოეშვა და პროექტის საინვესტიციო ღირებულებად 100 მილიონი აშშ დოლარი დასახელდა. პროექტი შეჩერდა და ამის მიზეზად... ენერგეტიკის დღევანდელი მინისტრი, კახა კალაძე დაასახელეს. უფრო ზუსტად კი, კალაძეს ეს ამბავი ერთ-ერთ გადაცემაში სტუმრობის დროს „დააბრალეს".

რა მოხდა რეალურად, თავად „სოკარის" წარმომადგენელი საუბრობს.

— საქართველოში „სოკარის" მიერ კარბამიდის ქარხნის მშენებლობის შეჩერება ენერგეტიკულ ბაზარზე კონიუნქტურის ცვლილებას, გრძელვადიან გაზის მიწოდების უზრუნველყოფას და სხვა საკითხებს უკავშირდება. „სოკარი" სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ამ გადაწყვეტილების მიღებისას არანაირ სუბიექტურ თუ სხვა ფაქტორებს გავლენა არ მოუხდენია.

პროექტის შეჩერებასთან დაკავშირებით ბოლო დღეებში მასმედიასა და სოციალურ ქსელებში გაუმართლებელი, სინამდვილესთან შეუსაბამო სპეკულაციური ინფორმაციები ვრცელდება. ამ პროექტზე მნიშვნელოვანი დროის განმავლობაში სერიოზული მუშაობა მიმდინარეობდა, თუმცა აღნიშნული საკითხების წამოჭრის შემდეგ პროექტი გადაიხედა და მისი შეჩერება გადაწყდა, — ეს განცხადება აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობკომპანია „სოკარის" საინვესტიციო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ვაგიფ ალიევმა გააკეთა.

შედეგად, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ კონკრეტულ გადაცემაში უბრალოდ ტყუილი და პროპაგანდისტული განცხადებები ისმის.

ნინო ბარბაქაძე

# იბიარდმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა

2015 წელს საქართველოში რეალური მშპ-ს ზრდა სავარაუდოდ, 2,3 პროცენტამდე შემცირდება

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკმა წელს საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა.

როგორც იბიარდის მიერ გამოქვეყნებულ „რეგიონალური ეკონომიკური პერსპექტივების" ანგარიშშია აღნიშნული, 2015 წელს საქართველოში რეალური მშპ-ს ზრდა სავარაუდოდ, 2,3 პროცენტამდე შემცირდება, 2016 წელს კი — 2,6 პროცენტამდე.

იბიარდის იანვარში გაკეთებული პროგნოზის თანახმად, საქართველოს რეალური მშპ-ს ზრდის პროგნოზი 4,2% იყო.

ანგარიშის თანახმად, 2015 წელს სტაგნაციაა მოსალოდნელი 35 ქვეყანაში, 2016 წელს კი — მხოლოდ 1,4%-იანი ზრდა.

— ევროზონაში მონეტარული შეზღუდვების შემსუბუქების წყალობით, ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში ეკონომიკური პერსპექტივები უფრო ოპტიმისტური ხდება, თუმცა რეგიონის აღმოსავლეთით განვითარება უარესდება რუსეთის გაზრდილი რეცესიის გამო, — ნათქვამია ანგარიშში.

## ლარის გაუფასურება კარგიცაა"

— ის, რომ ლარი გაუფასურდა, ერთი მხრივ, კარგიცაა, რადგან ქვეყნის ექსპორტმა კონკურენტუნარიანობა შეინარჩუნა, — განაცხადა საერთაშორისო სავალუტო ფონდის ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური აზიის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე იუჰა კაჰკონენმა გიორგი ქადაგიძესთან შეხვედრის დასრულების შემდეგ.

იუჰა კაჰკონენმა გიორგი ქადაგიძესთან შეხვედრა საინტერესოდ შეაფასა და აღნიშნა, რომ საუბარი შეეხო საქართველოს წინაშე არსებულ გამოწვევებსა და იმ პერსპექტივებს, რაც საქართველოს ახლო მომავალში ელის.

— რეგიონის საერთო სიტუაცია არასაიმედოა. რეგიონის რისკები დიდხანს გაგრძელდება. ის, რომ ლარი გაუფასურდა, ერთი მხრივ, კარგიცაა, რადგან ქვეყნის ექსპორტმა შეინარჩუნა კონკურენტუნარიანობა, რაც უნდა გამოიხატოს ექსპორტის შემდგომ ზრდაში, — განაცხადა იუჰა კაჰკონენმა.

მისი თქმით, მოქნილი გაცვლითი კურსი სასარგებლოა საქართველოსთვის როგორც ამჟამად არსებული გამოწვევების საპასუხოდ, ასევე მომავალში.

— საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი სხვადასხვა მიმართულებით შეიძლება შეიცვალოს. ასევე საგარეო მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს, ახლა ლარი გაუფასურდა, სამომავლოდ შესაძლოა, მოხდეს მისი გამყარება. გაცვლითი კურსის მოქნილობა უზრუნველყოფს ლარის მიერ გარე შოკების შეთვისებას, ანუ გაცვლით კურსზე გადავიდა ის დარტყმა, რაც ქვეყანას მიადგებოდა, რომ არ ყოფილიყო მოქნილი გაცვლითი კურსი, — აღნიშნა კაჰკონინმა.

ცენტრალური ბანკების ძირითადი მიზანია ინფლაციის დაბალი მაჩვენებლის უზრუნველყოფა, რომ ფასები არ გაიზარდოს.

— ზუსტად ამას აკეთებს საქართველოს ეროვნული ბანკი, უზრუნველყოფს გაცვლითი კურსის მოქნილობასა და ინფლაციის სტაბილურობას. იმისთვის, რომ ცენტრალურმა ბანკმა შეასრულოს თავისი ძირითადი მიზანი, უზრუნველყოს დაბალი ინფლაცია. აუცილებელია, მას ჰქონდეს თავისუფლება ინსტრუმენტების არჩევანში და თავის მოქმედებაში, — დასძინა ბ-მა კაჰკონენმა.

ბიპიენი

# ქადაგიძე: ლარის დევალვაციაზე მოქმედი ფაქტორები ამოწურულია"

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტ გიორგი ქადაგიძის ინფორმაციით, ლარის გაცვლითი კურსის გაუფასურებაზე მოქმედი ფაქტორები ამოწურულია.

ამის შესახებ გიორგი ქადაგიძემ გუშინ, 14 მაისს, განაცხადა.



— იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს გაცვლითი კურსის გაუფასურებაზე მოქმედი ფაქტორები არის ამოწურული და საშუალოვადიან პერიოდში ჩვენ არ ველოდებით კურსის გაუფასურებას სხვა თანაბარ პირობებში, — განაცხადა გიორგი ქადაგიძემ.

მოკლევადიან მერყეობებსა და იმ გაუფასურებებზე, რომელთაც ადგილი აქვს, მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას.

— ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი არის მოლოდინები და სამწუხაროდ, დღევანდელი მდგომარეობით მოლოდინები არის გადაჭარბებულად უარყოფითი, რაც მოქმედებს გაუფასურების მიმართულებით. ეს ნიშნავს, რომ ბაზრის ის მონაწილეებიც კი, ვისაც დოლარი აქვს გასაყიდი, თავს იკავებენ გაყიდვისგან იმის გამო, რომ მათ აქვთ მოლოდინი, რომ მოკლე ვადაში კურსს ექნება გაუფასურების მიმართულება. ეს მოლოდინი იწვევს კურსის ერთის მხრივ, წონასწორულზე მაღალ წერტილზე ასვლას და შემდგომ ამას ყოველთვის მოჰყვება გამყარება და ჩვენ დეკემბერში გვქონდა ასეთი ნახტომი, — განაცხადა ქადაგიძემ.

მისივე თქმით, მოლოდინებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ის განცხადებები, რომლებიც კეთდება ბოლო თვეების განმავლობაში ამ საკითხის ირგვლივ.

— ასეთი განცხადებები პოზიტიურ ჭრილში არ მოქმედებს და ყველამ უნდა გაითვალისწინოს ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ ეკისრებათ, ამა თუ იმ პროცესის შეფასების დროს, — განაცხადა ქადაგიძემ.

ბიპიენი

# დენი სოციალურად დაუცველებს არ გაუძვირდებათ

დენის ტარიფის გაძვირების შემთხვევაში ხელისუფლებამ შესაძლოა სოციალური ტარიფის სუბსიდირება მოახდინოს.

ამის შესახებ ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ „კომერსანტის" შეკითხვაზე პასუხისას განაცხადა, რომელიც დენის ტარიფის შესაძლო სუბსიდირების პრინციპს ეხებოდა.

— დაველოდოთ სემეკის გადაწყვეტილებას, როდესაც დაასრულებენ ტარიფზე მუშაობას, შემდგომ მივიღებთ გადაწყვეტილებას, — განაცხადა კალაძემ.

მანამდე მან ჟურნალისტებთან საუბარში აღნიშნა, რომ ტარიფის გაზრდის შემთხვევაში სახელმწიფოს მხრიდან მოხდება სოციალურად დაუცველთა მიზნობრივი სუბსიდირება, რისთვისაც მათ ჯანდაცვის სამინისტროდან ბაზები უკვე მიიღეს და ამ კუთხით მუშაობა მიმდინარეობს.

რამდენიმე დღის წინ, ენერგეტიკის მინისტრმა იგივე თემაზე საუბრისას ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდა არ გამორიცხა, თუმცა აღნიშნა, რომ ასეთ შემთხვევაში, მთავრობისგან მიზნობრივი სუბსიდირების გადაწყვეტილების მიღებას ელოდება.

როგორც მინისტრმა განმარტა, მარეგულირებელ კომისიაში შესულია ენერგოკომპანიების განაცხადი ტარიფის გადახედვის თაობაზე. ამ მიმართულებით დაწყებულია მუშაობა, რაზეც კომისიის გადაწყვეტილება 10 სექტემბრისთვის გახდება ცნობილი. კალაძე კომპანიების განაცხადს ტარიფების გადახედვაზე ლარის გაუფასურებით ხსნის.

— არ გამოვრიცხავ მოხდეს ელექტროენერგიის ტარიფის მატება, იყოს ამის გარდაუვალობა, თუმცა ეს მთავრობის მსჯელობის საგანი იქნება. შესაძლებელია, ამ მიმართულებით გარკვეული მიზნობრივი სუბსიდირება განხორციელდეს, — განაცხადა ენერგეტიკის მინისტრმა.

მარიამ მინაძე, კომერსანტ.გე

# ია მეტრეველი: გურამ დონაძე ჩიხში შევიდა და ახალი ავანტიურა წამოიწყო“

## გურამ დონაძე: „იქ რომ მივედი, ბუტა რობაქიძე უკვე გარდაცვლილი დამხვდა“

ნონა ცაბაძე

ბუტა რობაქიძის გახმაურებული მკვლელობის საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლოში უკვე კარგა ხანია, მიმდინარეობს. ამ ეტაპზე სასამართლოზე მოწმეები იკითხებიან.

ჩვენ უკვე გწერდით, რომ გურამ დონაძემ ჩვენება შეცვალა და განაცხადა, რომ ბუტა რობაქიძეს იარაღი არ ჰქონია.

რა ეტაპზეა საქმე, უცხადებს თუ არა ნდობას სასამართლოს, აღდგა თუ არა ქვეყანაში სამართლიანობა? — ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ბუტა რობაქიძის დედას, ქალბატონ ია მეტრეველს ესაუბრა.

***— ქალბატონო ია, გურამ დონაძემ შეცვალა ჩვენება და განაცხადა, რომ ამ ბიჭებს იარაღი არ ჰქონდათ და დაუდეს? ეს სიმართლეა?***

— ბიჭებს არ ჰქონდათო, ასე არ უთქვამს. ზუსტად ეგ არის საქმე. ეს დონაძის ახალი ავანტიურაა.

***— რატომ, რა ხდება?***

— დონაძეს უნდა, რომ ისევ შეცდომაში შეიყვანოს საზოგადოება და ახალ ვერსიას ავითარებს. დონაძეს არ უთქვამს, რომ ბიჭებს იარაღი არ ჰქონდათ. ჩიხში არიან და ყველა ბიჭი ადებს დონაძესა და მიქაძეს ხელს, რომ ესენი იყვნენ იქ მთავარი დირიჟორები და კონკრეტულად დონაძე იძლეოდა მითითებებს, ამას ეს დაუდე, იმას ის დაუდე და თან ამ ყველაფერს იღებდა კიდეც. ამას ადასტურებს ყველა მოწმე, ყველა ბიჭი, ვინც იქ იყო და ვისაც დაუდეს იარაღი. სერიოზულ ჩიხშია დონაძე შესული და ამიტომ ასეთი რამ გადაწყვიტა.

***— როგორია მისი ახალი ვერსია?***

— ახლა ამბობს, რომ ბუტა იყო უდანაშაულო, ბუტას არ ეჭირა ავტომატი, მაგრამ ის ყველაფერი, რაც იქ ეწყო, ნამდვილად იყო ამ ბიჭების. მას უნდა, ისე გამოიყვანოს, თითქოს ეს ბიჭები იყვნენ ბანდიტები და ისინი იტყუებიან, რომ ეს იარაღები კი არ ჩაუდეს, ნამდვილად მათი იყო, ოღონდ ბუტა იყო უდანაშაულო და ბუტა შემთხვევით იყო იმ მანქანაში. აი, ამ ვერსიას ავითარებს დონაძე.

***— თავიდან ხომ ამბობდნენ, რომ ბუტას ავტომატი ეჭირა ხელში და ისროდა?***

— დიახ. ჩვენ თავიდანვე ვითხოვდით, სად გააქრეთ ის ავტომატი, კადრებში რომ ჩანს, მიქაძეს რომ უჭირავს ხელში და რომ ამბობს, ბუტა აქედან ისროდაო. ვეკითხებოდით, სად წაიღეთ ეს ავტომატი. ახლა რომ გაამართლეთ ბუტა და აღიარა ბაშალეიშვილმა, ბუტას არ ეჭირა ავტომატი და ვითომ თვითონ გაუვარდა. როდესაც ვითხოვდით, ეჩვენებინათ ავტომატი, ამაზე პასუხს არ გვცემდნენ, ავტომატი საერთოდ გააქრეს საქმიდან საააკაშვილის რეჟიმის პერიოდში. ახლა დონაძე ცდილობს, ეს ფაქტი გამოიყენოს და ასეთი ფრაზა გააჟღერა: საქმეში არსად ფიგურირებს, რომ ბუტას ავტომატი უჭირავს და არავინ ამბობს, რომ ბუტას ჰქონდა ავტომატი. ამას მაიმუნობს ახლა დონაძე, თორემ ის კი არაა, რომ სინდისმა შეაწუხა და აღიარებს. დონაძე ზეწოლას ახდენს მოწმეებზე.

***— ეს რით გამოიხატება?***

— სასამართლოზე ისიც განაცხადა, მობრძანდება აქ მუკბანიანი (მოწმე, მისი ჟურნალისტი) და ვნახოთ, აქ რასაც იტყვისო ანუ აშინებს, ზეწოლას ახდენს. ასევე მის ოპერატორ ვაწაძეზეც აკეთებს მსგავს განცხადებებს, უთვალთვალებს ვაწაძეს და მე მინდა, ზუსტად ეს საკითხი დავაყენო პროკურატურაში, რომ დონაძე მოწმეებზე ახდენს ზეწოლას.

***— ახლა რა ეტაპზეა სასამართლო?***

— მოწმეების დაკითხვა მიმდინარეობს. ბუტასთან ერთად ვინც იყო, ერთ-ერთი ბიჭის დაკითხვა იქნება 29 მაისს. ძალიან არ მომწონს, რომ ასე იწელება სასამართლო პროცესი. სამი კვირით გადადეს კიდევ პროცესი. უამრავი მოწმეა დასაკითხი და გამოდის, რომ ერთი-ორი წელი უნდა გაგრძელდეს ეს პროცესები? ასეთი დამნაშავეები, როგორებიც არის მიქაძე და დონაძე, გარეთ რომ მილიონ ცუდ რაღაცას აკეთებენ და გამოძიებას ხელს უშლიან, გარეთ არ უნდა დადიოდნენ.

***— რატომ ჭიანურდება პროცესი? თქვენ რა ეჭვები გაქვთ?***

— ჩემთვის ეს ძალიან მიუღებელია. ისედაც 10 წელია, ამას ველოდებოდით და კიდევ ასე იწელება. მე არ ვიცი, ამის უკან რა დგას. ცოტა ხანს კიდევ შევხედავ და რომ დავრწმუნდები და მოსამართლეში რომ შემეპარება ეჭვი, ალბათ, დავაყენებ უკვე საკითხს მოსამართლის აცილებაზე.

***— რა პრეტენზიები გაქვთ მოსამართლესთან?***

— ჯერ კონკრეტულს არაფერს ვიტყვი, მაგრამ ის, რომ მოსამართლე ლოიალურად ექცევა მათ, ყველაფერს უსრულებს, ჩვენთვის მიუღებელია.

***— ვინ არის მოსამართლე?***



ახლა დონაძე ცდილობს, ეს ფაქტი გამოიყენოს და ასეთი ფრაზა გააჟღერა: საქმეში არსად ფიგურირებს, რომ ბუტას ავტომატი უჭირავს და არავინ ამბობს, რომ ბუტას ჰქონდა ავტომატი. ამას მაიმუნობს ახლა დონაძე, თორემ ის კი არაა, რომ სინდისმა შეაწუხა და აღიარებს. დონაძე ზეწოლას ახდენს მოწმეებზე

— გელიაშვილი. მე არ მინდა, მას რამე დავაბრალო, თუმცა ამ ეტაპზე ასეთი სიტუაციაა და ვნახოთ, მე დავაკვირდები. ჯერ კიდევ ბევრი სასამართლო პროცესია წინ.

***— ქალბატონო ია, საკმაოდ აქტიურად იყავით ჩართული ხელისუფლების შეცვლის პროცესში. ერთ-ერთი მათგანი ხართ, ვინც ასე აქტიურად ითხოვდა სამართლიანობის აღდგენას. დღეს ამბობენ, რომ ხალხს გაუცრუვდა იმედები და არ დადგა ის შედეგი, რომელსაც ელოდნენ.***

— მეც ძალიან მტკივა გული, რომ არ მოხდა სამართლიანობის აღდგენა. დაგვიხოცეს ისეთი ხალხი, რომლებიც მართლაც წარმოადგენდნენ მნიშვნელოვან ძალას სამართლიანობის აღდგენის პროცესში. ვგულისხმობ ბატონ იური ვაზაგაშვილს, რომელსაც მართლა თავი ჰქონდა გადადებული და კიდეც შეეწირა ამ უსამართლობას. დღეს კი არ არის დასჯილი არც მისი მკვლელი.

***— ხომ დააკავეს სოსანაშვილი?***

— თუმცა ჯერ არ არის გამოკვეთილი, ვინ არის შემკვეთი ანუ მთავარი. ასევე ხარძიანი, რომელიც ასევე უსამართლობაზე ხმას იმაღლებდა და იბრძოდა. იმედს მაინც არ ვკარგავ. იმედი მაქვს, რომ ცოტა ტემპს მოუმატებს ხელისუფლება და საბოლოო სამართალს მივაღწევთ.

***— რამდენად გაქვთ მოლოდინი, რომ თქვენი შვილის საქმეში სამართალი იზეიმებს?***

— 10 წლის შემდეგ, ახალი ხელისუფლების პირობებშიც თუ არ დადგა სამართალი, მაშინ აღარ ყოფილა ქვეყანა და მართლა არ ვიცი, მერე რა მოჰყვება ამ ყველაფერს! ბუტას საქმე ისეთი საქმეა, შავით თეთრზეა ყველაფერი. ამდენმა ავაზაკმა რა ჩაიდინა და დღეს ეს ავაზაკები სასამართლო დარბაზში ისე თავხედურად იქცევიან, რომ გაუსაძლისია ამის ყურება. ფიქრიც არ მინდა იმაზე, რომ საქმე ბოლომდე არ მივა და სამართალი არ აღდგება. ჭიანურდება, მაგრამ, ვფიქრობ, საბოლოოდ ისე დამთავრდება, როგორც უნდა დამთავრდეს!

„ახალი თაობა“ გურამ დონაძესაც ესაუბრა.

***— გურამ, ბუტა რობაქიძის საქმეზე ჩვენება შეცვალეთ?***

— ვინ გითხრათ, რომ ჩვენება შევცვალე? საიდან მოიტანეთ ეს ჭორი?!

***— გავრცელდა ინფორმაცია და ამას ბუტა რობაქიძის დედაც ადასტურებს.***

— ია მეტრეველი წლების განმავლობაში ბევრ რამეს ამბობდა, მაგრამ ყველაფერი არ იყო სიმართლე, ისევე, როგორც ეს განცხადება. არანაირი ჩვენება არ შემიცვლია. საერთოდ ჩვენება არ შეუცვლია არავის. ჩვენება შეცვლილი აქვს ბაშალეიშვილს, რომელმაც მოახდინა გასროლა ბუტა რობაქიძის მიმართულებით, შემთხვევით. მან შეცვალა ჩვენება. აქვე აღვნიშნავ, რომ ბაშალეიშვილი ჩვენთან კავშირში არ არის ამ საქმეში. ჩემი განცხადება, სამწუხაროდ, სათავისოდ გამოიყენა ზოგიერთმა პოლიტიკოსმა.

***— ვინ?***

— დავასახელებ მანანა კობახიძეს, თინა ხიდაშელსა და ეკა ბესელიას, რომლებიც მთელი ამ წლების განმავლობაში ირგებდნენ სათავისოდ. რაც შეეხება ჩემს განცხადებას, რომ ბუტა რობაქიძეს, საქმის მასალებით, იარაღი არ ჰქონია, ეს იმიტომ განვაცხადე, რომ ჩვენთან მიმართებით საქმეში არსად არის, არც ერთი მოწმე არ ამბობს, რომ ბუტა რობაქიძეს იარაღი ჰქონდა! იარაღები იდო მათ მანქანაში და ამას ადასტურებს სასამართლოს მიერ მტკიცებულებად აღიარებული ვიდეოფირი, რომლის საექსპერტო დასკვნაც დადეს ლევან სამხარაულის საექსპერტო ბიურომ, ამერიკის ფედერალური გამოძიების ეროვნულმა ბიურომ, უკრაინის საერთაშორისო და სახელმწიფო საექსპერტო ბიურომ, ინგლისმა, მოსკოვმა, ასევე გერმანიასაც ველოდებით. კადრის უწყვეტობა, რომელიც არის გასროლიდან იარაღების პოვნამდე, დადასტურებულია ექვსი სახელმწიფოს საექსპერტო კრიმინალისტური ბიუროების მიერ. ეს სასამართლომ აღიარა მტკიცებულებად. გურამ დონაძეს ჩვენება არ შეუცვლია და გურამ დონაძე არ შეცვლის არანაირ ჩვენებას.

***— თქვენ არ გითქვამთ, რომ იქ იარაღები არ იყო?***

— ის მოლოდინი, რომ, არიქა და მე ვაღიარე, ვითომ იარაღები არ იყო, ეს არის ტყუილი! დიახ, იარაღები იყო! უბრალოდ, ვამბობ და ძალიან გთხოვთ, კონტექსტიდან არ ამოჭრათ ჩემი კომენტარები. ის, რომ ბუტა რობაქიძეს გაპიროვნებულად იარაღი ედო, ჟარგონი რომ ვიხმაროთ, რომ ბუტას ვინმემ ჩაუდო იარაღი, ასეთი საქმეში არ არსებობს და არც ყოფილა!

***— თავიდან ხომ იყო ამაზე საუბარი?***

— პირველი ძიებისას გრიგოლ ბაშალეიშვილმა რა თქვა, როგორ თქვა და არანაირად თქვა, ეს ჩემს საქმესთან მიმართებით არ არის წარმოდგენილი. თუ გრიგოლ ბაშალეიშვილმა განაცხადა, რომ მოახდინა გასროლა სამოქალაქო პირის მიმართ, მისი საქმის ძიება დასრულებულია 7 წლის წინ. მან მოიხადა 5 წელიწადი საპატიმროში, იყო ტუსაღი. სასამართლომ ის აღიარა დამნაშავედ და ჩვენთან მიმართებით გრიგოლ ბაშალეიშვილი არც მოწმეა, არც დაზარალებული და არც — ბრალდებული.

***— ბუტა რობაქიძეს ავტომატი ეჭირა ხელშიო, თავიდან ეს ვერსია გავრცელდა. ქალბატონი ია აცხადებს, რომ დღეს ეს ავტომატი საქმეში არსად ჩანს. ამაზე რას იტყვით?***

— საქმეში ორი ავტომატი კარგად ჩანს, ასევე ერთი ბარაბნიანი პისტოლეტი, ხელყუმბარა და ტყვიები. ეს ყველაფერი საქმეში დევს, იმ საქმეში, რომლის მთავარი გამომძიებელიც იყო ნიქაბაძე და რომელმაც თავის დროზე ეს ყველაფერი გააყალბა.

***— რას გულისხმობთ?***

— პირველი სიყალბე, რომელიც ნიქაბაძემ ჩაიდინა და ჩემთვის გაუგებარია, ის რატომ არ ზის ციხეში! მან გააჩუქა ნივთმტკიცება, სეიფიდან მოიპარა დალუქული იარაღი. მან მოიძია ის ოჯახი, რომელსაც თავის დროზე ეს იარაღი ეკუთვნოდა და დაშინებით გადააფორმებინა თელავის პოლიციისთვის. გინდა გითხრათ, აქ მთავარი სკანდალი რა არის?!



რაც შეეხება ჩემს განცხადებას, რომ ბუტა რობაქიძეს, საქმის მასალებით, იარაღი არ ჰქონია, ეს იმიტომ განვაცხადე, რომ ჩვენთან მიმართებით საქმეში არსად არის, არც ერთი მოწმე არ ამბობს, რომ ბუტა რობაქიძეს იარაღი ჰქონდა! იარაღები იდო მათ მანქანაში და ამას ადასტურებს სასამართლოს მიერ მტკიცებულებად აღიარებული ვიდეოფირი

***— მითხარით.***

— წინა პროცესზე ირაკლი ფირცხალავამ დაუსვა ასეთი შეკითხვა ერთ-ერთ მოწმეს: „ჩემი გავრცელებული კადრებიდან რა არის სიმართლე თქვენთვის იმ ვიდეომასალაში?“ — მოწმემ, იცით, რა თქვა სასამართლოზე, რომელიც უკვე მტკიცებულებაა?

***— რა თქვა?***

— მოწმემ განაცხადა, რომ სიმართლეა გასროლა, სადაც ბუტა კვდება! და თქვენ იცით, რომ გასროლიდან, სანამ ბუტა დალევს სულს, იარაღები ჩანს და ეს კადრები არის უწყვეტი და უმონტაჟო?! აი, სწორედ ეს კადრია აღიარებული 6 სახელმწიფოს მიერ! ეს არის სიმართლე და ახლა ვისაც უნდა, დაიბრმაოს თვალები. ჩვენ ძალიან ბევრი რაღაცა გვიჭირავს ხელში და სიურპრიზები ჯერ კიდევ წინ არის.

***— რა სიურპრიზებზე საუბრობთ?***

— ის, რომ ჩვენ ვართ უდანაშაულოები! დღეს პროკურატურა ჩიხშია. თავისივე სიყალბეში არიან მოქცეული და ვეღარ გაუგიათ, რა ქნან! იცით, დღეს ჩვენი ბრალი რაში მდგომარეობს? იცით, რას გვედავება პროკურატურა?!

***— რას?***

— ია მეტრეველის თქმით, იარაღების ჩადებასა და ბუტას მკვლელობას, მაგრამ ეს არ არის სიმართლე! ჩვენ ბრალად გვაქვს წარდგენილი, აგერ ხელში მიჭირავს დადგენილება — უფლებამოსილების გადამეტება! მეტი არაფერი მაქვს მე ბრალში! მე იარაღების მიტანას არავინ მედავება! მე ბუტას მკვლელობას არავინ მედავება! მე მედავებიან იმას, რომ თითქოს იქ რომ იარაღები მიიტანა ვიღაცამ, დაუდგენელმა პირმა, თითქოს მე მივუთითე, რომ ასე გადაიღე, აქ დაალაგე, აი, ეს კადრი გადაიღე და ასე შემდეგ.

***— დიახ, ამას აცხადებენ, გურამ დონაძე იქ მითითებებს იძლეოდაო.***

— ჰო, მითითებს იძლეოდაო, მაგრამ ამ მითითებების მტკიცებულებები რომ არ არსებობს?! გურამ დონაძე იქ რომ მივიდა, ბუტა უკვე გარდაცვლილი დახვდა და იარაღებიც იქ იყო. კადრის უწყვეტობაც ამდენმა სახელმწიფომ აღიარა და, თუ გინდა, გაიზიარე ეს არგუმენტი და თუ არ გჯერა, მტკიცებულებებს წარმოგიდგენ. მეტი რა გითხრათ, დანარჩენი თქვენზეა.

## შსს-მ ნარკორეალიზატორი დააკავა და განსაკუთრებით დიდი ოდენობით ჰეროინი ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, წარსულში იარაღის უკანონო ტარება-შენახვისთვის ნასამართლევი, აზერბაიჯანის მოქალაქე, 1973 წელს დაბადებული შოთა მ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის და რეალიზაციის ბრალდებით რუსთავში, გაგარინის ქუჩაზე დააკავეს.

სამართალდამცველებმა ბრალდებულის პირადი ჩხრეკისას ნივთმტკიცებად ამოიღეს სპორტული ჩანთა, რომელშიც ნარკოტიკის რეალიზაციის შედეგად მიღებული 85.000 აშშ დოლარი იყო. ასევე ამოღებულია ბრალდებულის მიერ რეალიზებული 681,29 გრ ნარკოტიკული საშუალება, რომელიც ქიმიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, 441,636 გრ ჰეროინს შეიცავს. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს.

გამოძიება განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვა-გადაზიდვის და რეალიზაციის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზიური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, ნერვის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საოცრებაა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38

ქალბატონი ქეთათო

# შპს თბილისის საერთაშორისო აკადემია

## აცხადებს ღია კონკურსს აკადემიური თანამდებობების (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტეტნტ-პროფესორი, ასისტენტი) დასაკავებლად შემდეგ აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე:

**ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემდეგი მიმართულებით:**
– ეკონომიკა;
– ფინანსები;
– მარკეტინგი;
– საბუღალტრო აღრიცხვა;
– მენეჯმენტი.

**ვაკანტური ადგილები:**

პროფესორი – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია;
ასისტენტი – 1 ვაკანსია.

**საერთაშორისო ურთიერთობების ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემდეგი მიმართულებით:**
– საერთაშორისო პოლიტიკა;
– საერთაშორისო ურთიერთობები;
– საერთაშორისო ეკონომიკა.

**ვაკანტური ადგილები:**

პროფესორი – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი – 1 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია;
ასისტენტი – 1 ვაკანსია.

**ფსიქოლოგიის ქართულენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად შემდეგი მიმართულებით:**
– ფსიქოლოგია.

**ვაკანტური ადგილები:**

პროფესორი – 1 ვაკანსია;
ასოცირებული პროფესორი – 2 ვაკანსია;
ასისტენტ-პროფესორი – 1 ვაკანსია;
ასისტენტი – 1 ვაკანსია.

**საკონკურსო კრიტერიუმები პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური სამეცნიერო ხარისხი მიმართულების დარგის შესაბამისად;
2) არანაკლებ 6 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება – ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
3) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია და ერთი მონოგრაფია შეესაბამისი დარგისათვის აქტუალურ საკითხებზე.

**საკონკურსო კრიტერიუმები ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური სამეცნიერო ხარისხი მიმართულების დარგის შესაბამისად;
2) არანაკლებ 3 წლის სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება ავტორიზებული, ან მასთან გათანაბრებული სტატუსის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში;
3) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხებზე.

**საკონკურსო კრიტერიუმები ასისტენტ-პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) დოქტორის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური სამეცნიერო ხარისხი მიმართულების დარგის შესაბამისად;
2) უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული არანაკლებ ხუთი სამეცნიერო ხასიათის პუბლიკაცია შესაბამისი დარგის აქტუალურ საკითხებზე.

**საკონკურსო კრიტერიუმები ასისტენტის თანამდებობის დასაკავებლად:**

1) აკრედიტებული ან მასთან გათანაბრებული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტის სტატუსი.

**დამატებითი (არასავალდებულო კრიტერიუმები):**

1) 1) სასწავლო კურსის (სილაბუსის) შემუშავების გამოცდილება;
2) მონაწილეობა საერთაშორისო ანდა ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში;
3) სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები;
4) სახელმძღვანელოს ავტორობა ანდა თანაავტორობა შესაბამის დარგში.

**კონკურსში მონაწილეობისათვის კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:**

1) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის მისაღებად შესაბამისი დარგის აკადემიური თანამდებობისა და განსახორციელებელი პროგრამის ენის მითითებით (განაცხადი შეიძლება წარმოდგენილი იქნას როგორც ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);
2) ავტობიოგრაფია (CV) დეტალური ინფორმაციით კანდიდატის არამარტო კვალიფიკაციისა და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ, არამედ ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების შესახებ, ხოლო პროფესიული ნიშნით აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად – შესაბამისი პროფესიული გამოცდილების შესახებ (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);
3) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);
4) შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი საგანმანათლებლო დოკუმენტების ასლები (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);
5) შესაბამის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასისტენტისთვის) (ელექტრონულ, ასევე ქაღალდის მატარებელზე);
6) 2 ფოტოსურათი ზომით 3 4;
7) კონკურსანტის მიერ შედგენილი შესაბამისი სასწავლო კურს(ებ)ის სილაბუს(ებ)ი (კონკურსანტის სურვილისამებრ)
8) უცხოენოვანი პროგრამის აკადემიური პერსონალის შესარჩევ კონკურსში მონაწილების მიღების შემთხვევაში ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტცია ანდა ინფორმაცია.

**კონკურსის ეტაპები:**

**პირველი ეტაპი** – კონკურსში მონაწილე კანდიდატთა დოკუმენტაციის შეფასებადამუშავება წინამდებარე საკონკურსო კრიტერიუმების მიხედვით;
**მეორე ეტაპი** – პირველი ეტაპის წარმატებით გავლილ კანდიდატებთან გასაუბრება.

**კონკურსის გამოცხადების თარიღი: 15 მაისი, 2015 წელი**

**კონკურსის ვადები:**
1. აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთა საბუთების მიღება იწარმოებს 2015 წლის 15 ივნისიდან 27 ივნისის ჩათვლით;
2. კონკურსის პირველი ეტაპი ჩატარდება 29 ივნისიდან 01 ივლისის ჩათვლით;
3. კონკურსის მეორე ეტაპი ჩატარდება 2015 წლის 06 – 07 ივლისს;
4. კონკურსის შედეგები გამოცხადდება 08 ივლისს.

**საკონტაქტო ინფორმაცია კონკურსანტებისთვის:**

**კონკურსანტთა განაცხადების მიღება იწარმოებს როგორც ელექტრონული სახით info@tsa.ge,**
**ასევე ქაღალდის მატარებელზე, საკონკურსო კომისიის სამდივნოში შემდეგ მისამართზე: თბილისი, გიორგი სააკაძის II გასასვლელი 11ა;**
**ტელ: 0790 91-90-80; 598 10-61-30; 593 59-44-29.**

## უფყნ[ფლტ,ტ,ბ

● „ალკოჰოლიზმი“, „პახმელია“, „ზაპოი“, ღვიძლის გაწმენდა ალკოჰოლური ტოქსინისაგან (შეგიძლიათ ფარულად საკვებში შერევა). თამბაქოს მწეველობის მიტოვება, ნერვული სტატუსის მოწესრიგება – მხოლოდ მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით, მაღალი შედეგებით 555-45-13-45 599-02-11-46. სულხანი.

● ალკოჰოლიზმისაგან გარანტირებული განკურნება მცენარეული, უსაფრთხო პრეპარატებით. ფერმენტ ალკოჰოლდეჰიდროგენეზის მიერ ხდება „პახმელიის“, თავის ტკივილის, თავბრუსხვევის, პირღებინების, ტრემორის (კანკალის), ტაქიკარდიის, ოფლიანობის, უძილობის, აგრესიულობისა და ალკოჰოლური დამოკიდებულების მოხსნა. შედეგები პირველივე დღიდან. შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში. ტელ: 557-14-22-36; 597-92-07-05. ნინო ექიმი.

● ალკოჰოლიზმისგან განკურნება მაღალეფექტური, მცენარეული, გარანტირებულად უსაფრთხო პრეპარატებით, ღვიძლის პრობლემის მოწესრიგება, „პახმელიის“,„ზაპოის“, აგრესიულობის მოხსნა (პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში). სიგარეტის გადაგდება მცენარეული ნაყენებით, ნერვული სტატუსის მოწესრიგება. 551-19-45-08: 558-20-31-35 ნანა ექიმი.

● ვმკურნალობ სქესობრივ უძლურებას, სათესლე ჯირკვლის ანთებას, საშარდე მილის, სასქესო ასოსა და პროსტატის ყველა სახის დაავადებას, სქესობრივი კავშირებით გადამდებ სნეულებებს, უშვილობას. გვაქვს საიმედო „ერექტორები“. კონსულტაცია უფასო. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 ექიმი მერაბი.

● ფოტოსურათით მოგიხსნით: ალკოჰოლსა და აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას,პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებულ აზრებსა და ქმედებებს, ეჭვიანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, ჩაკეტილობას, დაძაბულობას, აფორიაქებას, სევდას, ნაღველს, მელანქოლიას, დეპრესიას. ვმუშაობ ბავშვებზეც. გამოცდილება 35-წლიანი, შედეგი გარანტირებული, გიწვევთ სკეპტიკოსებსაც და იმედგაცრუებულებსაც. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა.შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-498-423 კონსულტაცია უფასოა.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორ პუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82. ლამარა თოდუა.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება, ტკივილების მოხსნა, ხრტილის აღდგენა, ოსტეოქონდროზი, კოქსართროზი, ოსტეოპოროზი, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახრებზე ძვლის მკვებავებით. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78 ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქეთი.

● მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571720311– ქ-ნი მარიამი.

# პატარა ბორჯღალოსნები დასაჯეს



ლისაბონში მიმდინარე მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ალაფის სადისციპლინო კომისიის შეხვედრა გაიმართა, რომელზეც საქართველოსა და ურუგვაის შორის გამართული მატჩის დროს მომხდარ ჩხუბს განიხილავდნენ. კომისიამ სხდომაზე დაიბარა ჩვენი გუნდის გარემარბი იოსებ კიკვაძე და ნაკრების კაპიტანი ბადრი ალხაზიშვილი, რომელმაც ამ ინციდენტის შედეგად წითელი ბარათი მიიღო.

გამოკითხვა და მსჯელობა დიდხანს გაგრძელდა, რომლის დასრულების შემდეგ სადისციპლინო კომისიის წევრებმა შემდეგი გადაწყვეტილებები მიიღეს:

ჩხუბის დროს იოსებ კიკვიძემ ურუგვაელთა 12 ნომერს სახის არეში დარტყმა მიაყენა. მართალია მან ამ ქმედებით ჩვენი 10 ნომერი მოწინააღმდეგის გამიზნული წიხლისგან იხსნა, მაგრამ იმის გამო, რომ ამ დარტყმით ურუგვაელ მოთამაშეს სახის არეში აშკარა ზიანი მიადგა, კომისიამ კიკვიძის დასჯა გადაწყვიტა, რაც ტურნირის ბოლომდე დისკვალიფიკაციას გულისხმობს.

ბადრი ალხაზიშვილის ეპიზოდის ვიდეოანალიზისას გაირკვა, რომ მას ურუგვაელთა 10 ნომერი კისრის არეში სახიფათოდ ბოჭავდა, რომელიც ლამისაა ჭიდაობის მოგუდვის ილეთში გადაიზარდა. ამ ქმედებას ალხაზიშვილისგან, თავის დაცვის მიზნით, საპასუხო დარტყმა მოყვა. როგორც მოგეხსენებათ, ჩხუბის დასრულების შემდეგ მატჩის არბიტრმა ორივეს წითელი ბარათი უჩვენა. კომისიამ კი გადაწყვიტა, რომ ეპიზოდში მონაწილე ორივე მოთამაშე ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაესაჯა.

ჩვენთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ ჩხუბში მონაწილე არც დანარჩენი ურუგვაელები დარჩნენ დაუსჯელნი — 18 ნომერს — 2-კვირიანი, ხოლო 6 ნომერს — 3-კვირიანი დისკვალიფიკაცია მისცეს.

მატჩისას დაჟეჟილობა და მიკრო ტრავმები ბევრმა უმცროსმა ბორჯღალოსანმა მიიღო. გუშინ გაირკვა, რომ ლაშა საჯაიას — მუხლი, ხოლო გიორგი კოშაძეს მხარი აქვს დაზიანებული. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მორაგბე შეძლებს შემდეგ შეხვედრაში თამაშს, სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით თბილისიდან ორ მოთამაშეს უხმეს: გიორგი თედორაძეს (თი ბი ეს) და სანდრო ილურიძეს (აკადემია).

# შსს-მ სერია დამაჯერებლად დაიწყო, დინამომ მოედანი წააგო

**დინამო _ რუსთავი 82:84**
**(12:21; 31:23; 14:20; 25:20)**

რეგულარული ჩემპიონატის მომგებ დინამოელებს პლეი ოფის ნებისმიერ მეტოქესთან მოედნის უპირატესობა გააჩნია, რაც რეგიონის გუნდებთან დაპირისპირებაში მნიშვნელოვანი პლუსია. სწორედ ეს კოზირი დაკარგა „დინამომ" „რუსთავთან" და თუკი მიხეილ ბერუაშვილის გუნდი საკუთარ მოედანზე ორივე მატჩს მოიგებს, ფინალში გავა.

სანამ ამ წყვილში ფინალისტი გამოვლინდებოდეს, სავარაუდოდ ბევრი საინტერესო მოხდება. ამის ვარაუდის საფუძველს სერიის პირველი მატჩი იძლევა, რომლის ბოლო წუთებიც უაღრესად დაძაბული იყო.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველებმა შეხვედრა სამქულიანებით მოიგეს. ქვემოქართლურმა გუნდმა 18 სამქულიანი ჩააგდო, რაც მიმდინარე სეზონის რეკორდის გამეორებაა. სხვა არჩევანი არც ჰქონდათ რუსთაველებს, რადგან ფარზე დინამოელები ბატონობდნენ, რომლებმაც საბოლოოდ ქვემოქართლელებზე 12-ით მეტი მოხსნა მიითვალეს.



რუსთაველთაგან 4-4 სამქულიანი ჩააგდეს ტერენს ოგლზბიმ, ლევან ცეკვავამ და მიხეილ ჭოჭუამ, 3 შორი სროლა ჰაიდენ ჰამსის ანგარიშზეა, ხოლო 2 — ქაქუცა აბაიშვილმა მიითვალა. მატჩის დასრულებამდე 6 წუთით ადრე რუსთაველები 14 ქულით იგებდნენ, რასაც დინამოელებმა პრესინგით და სწრაფი შეტევებით უპასუხეს. ირაკლი ხოშტარიას გაწვრთნილმა გუნდმა ჩამორჩენა ბოლო წუთისთვის 2 ქულამდე შეამცირა და ბოლო შეტევისთვის 6 წამიც ჰქონდა, თუმცა ფარქვეშიდან გამთანაბრებელი ბურთი ილია ლონდარიძემ ააცილა და მატჩიც რუსთაველთა ზეიმით დასრულდა.

რუსთაველთა შორის ბომბარდირი გახდა მიხეილ ჭოჭუა, რომელმაც 20 ქულა მოაგროვა. 18 ქულა მიითვალა გოგა ცეკვავამ, ხოლო აკაკი დვალიშვილის ანგარიშზე ორმაგი დუბლი — 12 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა. „დინამოს" 26 ქულით და 16 მოხსნით საუკეთესო გარიკ შერმანი იყო, 17 ქულა ჰქონდა ილია ლონდარიძეს.

# თბილისის დინამო მეორე ადგილზე გადავიდა

**სამტრედია _ დილა 0:1**
**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**
**0:1 კვახაძე (45)**

**სამტრედია:** თევდორაძე, კაკუბავა, ხიზანიშვილი (გორგიაშვილი 62), თორ.გრიგალაშვილი, კვირკველია, შარიქაძე, დოლიძე, გეწაძე (ს.გურული 78), თედ.გრიგალაშვილი, დათუნაიშვილი, გაბედავა (კაპანაძე 56)

**დილა:** მიგინეიშვილი, ბაგაევი, ხიდეშელი, კვახაძე, რაზმაძე, ხურცილავა, წიქარიძე (გვალია 73), კვეკვესკირი (თექთურმანიძე 77), ფალავანდიშვილი, ერისთავი, მოდებაძე (სეთურიძე 50)

ჩვენ უკვე ვწერდით, რომ გორის დილამ, სამტრედიასთან მოპოვებული გამარჯვების შედეგად, საქართველოს ჩემპიონობა ვადამდე მოიპოვა. ახლა კი უფრო ვრცლად მოგიყვებით 13 მაისს საქართველოს პირველობაზე მომხდარ ამბებს.

გორის დილა საქართველოს ჩემპიონი გახდა. ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის დებულების 4.4.1 პუნქტის თანახმად, ქართლური კლუბი ჩემპიონატის დასრულებამდე ორი ტურით ადრე გაჩემპიონდა.

დილას უახლოეს მდევართან, თბილისის დინამოსთან, ექვსქულიანი სხვაობა აქვს და თუ დარჩენილ ორ ტურში თბილისელები მათ ქულებით გაუთანაბრდებიან, უპირატესობა დილას ენიჭება ურთიერთშეხვედრებში მიღწეული დადებითი ბალანსიდან გამომდინარე (სტუმრად გატანილი გოლი).

ეს გორელთა პირველი ჩემპიონობაა.

საჩემპიონო გოლი ალექსანდრე კვახაძემ გაიტანა, რომელმაც ნიკა კვეკვესკირის ჩაწოდებულს თავით შეწვა და კარში ხარიხიდან ასხლეტით გადაგზავნა.

**დინამო _ ზუგდიდი 7:0**
**თბილისი. დინამო არენა**
**1:0, ჭანტურიშვილი (15), 2:0 პაპუნაშვილი (17), 3:0, 4:0, ჩირგაძე (40,65), 5:0 ჯიღაური (77), 6:0 ჭანტურიშვილი (80), 7:0 ჩირგაძე (90)**

**დინამო:** დაუშვილი, გველესიანი, რენე (ბუკორაცი 38), კაკაბაძე, შერგელაშვილი, ჯანელიძე, ცინცაძე (კიტეიშვილი 70), პაპუნაშვილი, ლობჟანიძე (ჯიღაური 57), ჩირგაძე, ჭანტურიშვილი

**ზუგდიდი:** ივარდავა, პაჭკორია, აკობია, რიგვავა (კუკავა 46), მეგრელიშვილი, მაჩაიძე, კუტალია (ეხვაია 73), ლომია, გუგუჩია, ენდელაძე, კობერიძე (ქირია 46)

კლუბისთვის ყველაზე ღირსშესანიშნავ დღეს დინამომ დიდი ანგარიშით მოიგო. დედაქალაქელებმა ამით მეორე ადგილზე გადაინაცვლეს.

ჰეთ ტრიკი შეასრულა ჩირგაძემ, ხოლო ვახტანგ ჭანტურიშვილმა — დუბლი. თითო გოლი პაპუნაშვილისა და ჯიღაურის ანგარიშზეა.

**სიონი _ დინამო (ბთ) 1:0**
**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**
**1:0 ვიეირა მედინა (83)**

**სიონი:** მერლანი, ა.გურეშიძე, სვანიძე, ფოფხაძე, გაფრინდაშვილი, გოგობერიშვილი, მიქაბერიძე, ჭანკოტაძე (მოსე მღვდლიშვილი 86), სიჭინავა, ზ.ლობჯანიძე (არაუხო და სილვა 59, ჭიკაიძე 81), ვიეირა მედინა

**დინამო:** მამინაშვილი, ტეტუნაშვილი, სუხიაშვილი, მახარაძე, მგელაძე, შონია, თევდორაძე (მაკარიანი 65), ქავთარაძე, გოტიტიძე (ვარშანიძე 46), ბერიაშვილი, ტატანაშვილი (აბუსელიძე 83)



ბათუმელებმა ამ წაგებით საჩემპიონო ბრძოლას თავი დაანებეს, ხოლო „სიონი" გასავარდნ ზონას დაუსხლტდა.

პრინციპში ბათუმელებს საჩემპიონო ბრძოლა გამარჯვების შემთხვევაში გაუჭირდებოდათ, რადგან „დილა" კარგ ფორმაშია. აი, „სიონს" კი ჰაერივით სჭირდებოდა სამი ქულა და მისი მოპოვება მატჩის მიწურულს მოახერხეს.

**შუქურა _ ცხინვალი 0:0**
**ქობულეთი. ჩელე არენა**

**შუქურა:** თ.კაკალაძე, ჩალაძე, გ.გურული, ხოჭოლავა, მალანია, ტვილდიანი, თუხარელი, კუხიანიძე, პუკანიჩი, ჩელებაძე, მეტრეველი (კოპალიანი 81)

**ცხინვალი:** ნადირაძე, ცაცკრიალაშვილი (შინდაგორიძე 46), მახარობლიძე, იმედაშვილი, კაჭკაჭიშვილი, ბაჩიაშვილი, ივანიშვილი (არაბული 81), ცერცვაძე, თარხნიშვილი, ლექვთაძე (ბურძენაძე 67), კაჭარავა

ცხინვალელებმა ის ქულა მოიპოვეს, რომელმაც გუნდს მეოთხე ადგილი დაუბევა, რაც შესაძლოა, ევროტურნირებზე გამსვლელი აღმოჩნდეს. თუმცა, „ცხინვალს" ჯერ სამეულში შესვლის თეორიული შანსიც აქვს.

„შუქურა" კი წყნარად არის მოკალათებული ცხრილის შუაში.

**მეტალურგი _ ვიტ ჯორჯია 0:0**
**რუსთავი. ფოლადი**

**მეტალურგი:** ნადირაძე, ნარიმანიძე, ნოზაძე, მინდორაშვილი, მიქაუტაძე, ბერუაშვილი, სარიშვილი, ზვიადაძე, ბარამიძე (ციცქიშვილი 46), ჩიკვაიძე (პაკსაშვილი 70), ბარაბაძე (ოქროპირიძე 84)

**ვიტ ჯორჯია:** შეროზია, ცაბაძე, კალანდია, გეთიაშვილი, დანელია, დავლაშელიძე (კურდღელაშვილი 79), მაისურაძე, მახარაძე, დემეტრაშვილი (დადიანი 84), კახაბრიშვილი, ლობჯანიძე

გუნდებმა თითო ქულა აიღეს, მაგრამ ამით ვერაფერი გაარკვიეს და ორივე გასავარდნ ზონაში იმყოფება.

არადა, მოგებულს შეეძლო თავიდან აეცილებინა ელიტიდან დაქვეითება პირდაპირი წესით და გადათამაშებაში მიეღო მონაწილეობა.

**კოლხეთი _ მერანი 3:0**
**ლანჩხუთი. ევგრაფი შევარდნაძე**
**1:0 ჯიქია (81), 2:0 თ.კაკულია (90), 3:0 გიგაური (90)**

**კოლხეთი:** სეფიაშვილი, კილასონია, ჩადუნელი, ჩაკვეტაძე, ლემონჯავა, ამბროლაძე (თ.კაკულია 64), გურეშიძე, გიგაური, ლ.კაკულია (ქორჩილავა 79), ჟიშკარიანი, სიჭინავა (ჯიქია 46)

**მერანი:** მამალაძე, მელიავა, ლომაშვილი, ორბელაძე, კიკნაველიძე (შულაია 70), ფონიავა, წყაროზია, ქიქავა, გეგეჭკორი, ფიფია (ჯღამაია 85), დ.ციცხვაია (ს.ლომია 63).

საინტერესო სანახავი გამოდგა მეგრული დერბი. განსაკუთრებით ბოლო 10 წუთი. კოლხების გატანილი გოლის შემდეგ მარტვილელები გათანაბრებას შეეცადნენ, მაგრამ კონტრშეტევებზე ორი კიდევ გაუშვეს და დიდი ანგარიშით დამარცხდნენ.

**ჩიხურა _ გურია 2:1**
**ივანწმინდა. ცენტრალური**
**1:0 კუჭუხიძე (33), 2:0 ოდიკაძე (36პ), 2:1 ზოზულია (90)**
**67-ე წუთზე ოდიკაძემ ვერ გამოიყენა პენალტი (ააცილა)**

**ჩიხურა:** ქვილითაია, კაშია (ოდიკაძე 26), ლუბჩაკი, დეკანოიძე (ტროიანოვსკი 83), განუგრავა, კორიფაძე, ჩიკვაიძე, სარდალიშვილი (მუმლაძე 66), კუჭუხიძე, ღონღაძე, ბაჯელიძე

**გურია:** თებიძე, ჭეიშვილი, გოგიაშვილი, კილაძე, ბენაშვილი, ზოზულია, კოშკაძე, ინგოროყვა (ღაღანიძე 46), მოსიაშვილი (შეველი 55), ისიანი (მათიაშვილი 90), შალამბერიძე

ცხრილის შუაგულში მყოფი გუნდების მატჩი მასპინძლებმა მოიგეს და მე-5 ადგილზე გადაინაცვლეს. თუმცა, ეს მხოლოდ პრესტიჟის ამბავი იყო, რადგან საჩხერელთა ამბიცია ევროტურნირებზე გასვლა იყო.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დილა | 28 | 18 | 6 | 4 | 46-20 | 60 |
| 2.დინამო (თბ) | 28 | 16 | 6 | 6 | 51-26 | 54 |
| 3.დინამო (ბთ) | 28 | 16 | 4 | 8 | 34-23 | 52 |
| 4.ცხინვალი | 28 | 15 | 4 | 9 | 39-34 | 49 |
| 5.ჩიხურა | 28 | 12 | 7 | 9 | 37-32 | 43 |
| 6.სამტრედია | 28 | 12 | 6 | 10 | 35-27 | 42 |
| 7.ტორპედო | 28 | 10 | 10 | 8 | 38-30 | 40 |
| 8.შუქურა | 28 | 10 | 8 | 10 | 33-35 | 38 |
| 9.გურია | 28 | 10 | 8 | 10 | 34-38 | 38 |
| 10.კოლხეთი | 28 | 9 | 9 | 10 | 30-29 | 36 |
| 11.მერანი | 28 | 9 | 8 | 11 | 26-28 | 35 |
| 12.ზუგდიდი | 28 | 7 | 9 | 12 | 20-42 | 30 |
| 13.ზესტაფონი | 28 | 6 | 8 | 14 | 40-55 | 26 |
| 14.სიონი | 28 | 7 | 5 | 16 | 26-43 | 26 |
| 15.მეტალურგი | 28 | 6 | 7 | 15 | 22-38 | 25 |
| 16.ვიტ ჯორჯია | 28 | 6 | 5 | 17 | 26-37 | 23 |

# შსს აკადემია — ბათუმი 106:84

**(31:20; 28:24; 31:25; 16:15)**

22-ქულიანი სხვაობით დასრულდა სუპერლიგის ნახევარფინალური სერია „შსს-აკადემიასა" და „ბათუმს" შორის. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა აკადემიელებმა აჭარულ გუნდს ყველა მეოთხედი მოუგეს და, საბოლოოდ, 106:84 იმარჯვეს.

მატჩის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე ბათუმელებმა აღიარეს, რომ მათ გუნდს დაცვაში ასე ცუდად ამ სეზონში არ უთამაშია. აკადემიელებმა დავით უსტიაშვილის გუნდს 106 ქულა ჩაუგდეს და ეს საპლეიოფო მატჩისთვის მართლაც ბევრია.

აკადემიელებს უპირატესობა ჰქონდათ როგორც ფარქვეშ, ისე პერიმეტრზე. თბილისურმა გუნდმა ბათუმელებზე მეტი ბურთი მოხსნა, 5-ით მეტი სამქულიანი ჩააგდო და 8-ით მეტი ჩაჭრა მიითვალა. დაკარგვები ბათუმელებს 7-ით მეტი ჰქონდათ და ყველაფერი ზემოთქმულის გათვალისწინებით, საბოლოოდ, დაფიქსირებული ანგარიში ლოგიკურია.

„შსს-აკადემიაში" 21 ქულით საუკეთესო იყო გიორგი ცინცაძე, 17 ქულა დააგროვა გიორგი შარაბიძემ, 15 ჰქონდა ბექა ჩიკვილაძეს, ხოლო ნიკა მეტრეველმა და აკაკი ლომოურმა 14-14 ქულა მოაგროვეს, მიხეილ ბერიშვილის ანგარიშზე 10 ქულა დაგროვდა. „ბათუმში" 26 ქულით ბიჯეი იანგი გამოირჩა, ნიკ კელოგის ანგარიშზე 17 ქულა დაგროვდა, ირაკლი მიქელაძემ პირად ანგარიშზე 11 ქულა ჩაიწერა.

**ფეხბურთი**
**13 მაისი**

# შედეგები

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| რეალი-იუვენტუსი | 1:1 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ტრაბზონი-ბურსა | 1:0 |
| გაზიანთები-რიზე | 1:2 |
| ფენერბახჩე-ქაისერი | 1:1 |

**ჩეხეთი. თასი**

| | |
|---|---|
| იაბლონეცი-ბოლესლავი | 1:0 |
| ტეპლიცე-ლიბერეცი | 3:1 |

**ნორვეგია. ტიპელიგა**

| | |
|---|---|
| ლილესტრიომი-მიოლდე | 2:1 |
| ალესუნდი-სარპსბორგი | 2:2 |
| სტაბეკი-სანდერფიორდი | 4:0 |
| სტარტი-ბოდო გლიმტი | 1:1 |
| ოდ გრელანდი-სტრომგოდსეტი | 2:0 |
| ჰაუგესუნდი-ვიკინგი | 0:2 |

**კალათბურთი**
**ნბა. პლეი ოფი 3 მოგებამდე**

| | |
|---|---|
| ატლანტა-ვაშინგტონი | 82:81 |

**სერიის ანგარიში 3:2**

| | |
|---|---|
| გოლდენ სტეიტი-მემფისი | 98:78 |

**სერიის ანგარიში 3:2**

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი
☎ 599-90-54-78, 234-02-38

# პოროშენკოს ვიზიტი გერმანიაში

## „დონბასში სამშვიდობო პროცესი მძიმედ მიდის“, — აცხადებს გერმანიის კანცლერი

ბერლინში უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ჩავიდა. კანცლერ მერკელთან მოლაპარაკებების ძირითადი თემა დონბასში შექმნილი ვითარება იყო. სიტუაცია დარეგულირებისაგან ნამდვილად შორსაა. შეტაკებები არ წყდება. კვლავ იღვრება სისხლი, იღუპებიან ადამიანები.



### დივერსიები გრძელდება

როგორც მოსალოდნელი იყო, 1-9 მაისს რუსულმა მეხუთე კოლონამ მთელი უკრაინის მასშტაბზე ცადა გააქტიურება. მცდელობა კრახით დასრულდა. მიზეზი არა იმდენად უკრაინელი ძალოვნების აქტიურობაა (ძალოვან სტრუქტურებში კვლავაც დიდი პრობლემებია), არამედ ის, რომ მოსახლეობამ პრორუსულ ძალებს მხარი არ დაუჭირა.

— ეს ნათლად იგრძნობოდა როგორც კიევსა და ლვოვში, ასევე ოდესაში, ხარკოვში, ზაპოროჟიეში. — იტყობინება რადიო „თავისუფლება“.

9 მაისის შემდეგ დაძაბულობა არ ჩაცხრა. რუსულმა აგენტურამ განახორციელა დივერსია ოდესაში. აფეთქდა ხიდი. „მემარჯვენე სექტორის“ ოდესის ფილიალის ბიჭებმა ასაფეთქებელი დროზე შენიშნეს და მატარებლის გაჩერება მოახერხეს. შედეგად უამრავი სიცოცხლის გადარჩენა მოხერხდა, თუმცა ხიდი საკმაოდ დაზიანდა. იმავე დღეს ოდესის ქუჩებში შემდეგი შინაარსის პროკლამაციები გაჩნდა:

— ოდესამ რუსულ ფასეულობებს უღალატა! ამის გამო სასტიკად დაისჯება!

იმავე დღეს უცნობმა პირებმა განახორციელეს აფეთქება ვინიცაში. შედეგად რამდენიმე ადამიანი დაშავდა.

### შეტაკებები დონბასში

უკრაინის ანტიტერორისტული შტაბის ცნობით, უკანასკნელი ორი დღის მანძილზე დონბასში ტერორისტების აქტიურობა გაიზარდა. ეს არაა გასაკვირი, რადგანაც რუსეთიდან ბოევიკების შემოსვლა და სამხედრო ტექნიკის შემოზიდვა არ წყდება. უკრაინის ანტიტერორისტული შტაბის ცნობით, რუსეთმა სეპარატისტებს გადასცა 700 ტანკი, 2 000-მდე დაჯავშნილი ავტომობილი, 380 სარაკეტო დანადგარი, 600 ქვემეხი.

— დღეისათვის დონბასელ ტერორისტებს უფრო მეტი ტანკი ჰყავთ, ვიდრე ფინეთს ან ბალტიისპირეთის ქვეყნებს, — იტყობინება მე 5 არხი.

ექსპერტების აზრით, ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ სეპარატისტები და რუსი ჯარისკაცები შეტევისათვის ემზადებიან. იარაღი, რომელიც დღეს „ნოვოროსიის არმიას“ გააჩნია, შეტევითი ხასიათისაა. ამ ე.წ. არმიაში დონბასის მცხოვრებთა რაოდენობა 8 000 არ აღემატება (მთლიანად ბანდის რიცხვი 40 000-ს აღწევს), აქედან უმრავლესობას რუსი ჯარისკაცები (12 000), ჩეჩნები, აფხაზები, ოსები, დნესტრისპირელები, სერბები და ა.შ. შეადგენენ. წამყვან პოსტებზე რუსი ოფიცრები იმყოფებიან. ნოვოროსიის არმიად წოდებულ ბანდის ხელმძღვანელობა მოსკოვიდან ხდება.

— დონეცკ-ლუგანსკის მოლაშქრეთა უკან რუსეთი დგას. ვინ დგას უკრაინის უკან? არავინ! — აცხადებს პუტინის ისრაელელი მეხოტბე იაკობ კედმი.

ზამთრის ჩაშლილი შეტევა რუსებისათვის მძიმე გაკვეთილი იყო. რუსეთს ეს დიდ მსხვერპლად დაუჯდა. ამას საერთაშორისო იზოლაციაც დაემატა. ახლა კრემლი შეტევას გაცილებით მეტი გულმოდგინებით ამზადებს.

— რუსები შეეცდებიან პროვოკაციაზე წამოგვეკიდონ და მინსკის შეთანხმებების ჩაშლა უკრაინას გადააბრალონ. — თვლის 112 არხი.

პროვოკაციების ინტენსივობაც დღითიდღე იზრდება. უკანასკნელი დღეების მანძილზე ყველაზე დაძაბული ვითარება სჩასტიესთან (ლუგანშჩინა) შეიქმნა, როცა სეპარატისტებმა და რუსმა ჯარისკაცებმა უკრაინელ ჯარისკაცებს ცეცხლი „გრადებიდან“ გაუხსნეს.

— ჩვენი მეომრები იძულებულნი გახდნენ, საპასუხო ცეცხლი გაეხსნათ. მტერმა უკან დაიხია. მათ შორის არიან მოკლულები, დაჭრილები, — იტყობინება ტელეკომპანია „ინტერი“.

მეორე ცხელი წერტილი გორლოვკა იყო. სეპარატისტებმა უკრაინელებს ცეცხლი ტანკებიდან გაუხსნეს და შემდეგ შეტევაზე გადასვლა ცადეს. უკრაინელებმა საპასუხო ცეცხლი მხოლოდ ამის შემდეგ გახსნეს. მტერმა დიდი ზარალი განიცადა და უკან დაიხია.

### მზაკვრული სვლა

სანქციებმა პირველი შედეგი უკვე გამოიღო. პუტინმა ყირიმისაკენ კორიდორის გაჭრაზე უარი განაცხადა. „პროექტ ნოვოროსიის“ დაფინანსებაც შეწყდა. ახლა პუტინი მხოლოდ დონბასის იმ ნაწილის ავტონომიას მოითხოვს, რომელსაც სეპარატისტები აკონტროლებენ. განსაკუთრებული სტატუსი დონბასის ნაწილისათვის და ე.წ. დონეცკის რესპუბლიკისათვის მარიუპოლის გადაცემა. ასეთია პუტინის პოზიცია.

რუსეთის პრეზიდენტის სიტყვები, უკრაინის ტერიტორიულ მთლიანობას მხარს ვუჭერო, დონბასელ სეპარატისტებისათვის ერთგვარ სიგნალს წარმოადგენდა. მათმა ერთ-ერთმა ლიდერმა დენის პუშილინმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ დონბასელები მზად არიან, უკრაინის შემადგენლობაში შევიდნენ, ოღონდაც შემდეგ პირობებზე: 1) უკრაინამ ნეიტრალიტეტი უნდა გამოაცხადოს; 2) შეწყდეს ანტიტერორისტული ოპერაცია; 3) რუსულ ენას მიეცეს ოფიციალური სტატუსი; 4) დონბასში არჩევნებში არ დაუშვან ის პარტიები, რომლებმაც ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებას მხარი დაუჭირეს.

— პუშილინმა იმთავითვე მიუღებელი წინადადებები წამოაყენა. ბუნებრივია, პოროშენკო ამას უარყოფს. მოსკოვიც ამას დროშასავით აფრიალებს, აქაოდა, კიევი დონბასს ავტონომიაზე უარს ეუბნება. საომარი მოქმედებების განახლებასაც ჩვენ გადმოგვაბრალებენ. — აცხადებს უკრაინელი ექსპერტი ფისენკო.

### მერკელი უკრაინას მხარდაჭერას უცხადებს

ასეთ ფონზე განხორციელდა პეტრო პოროშენკოს ვიზიტი ბერლინში. პრესკონფერენციაზე მერკელმა განაცხადა, რომ დონბასში მშვიდობის დამყარების პროცესი ძალზე მძიმედ მიმდინარეობს.

— მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად ვართ, უკრაინას მშვიდობის აღდგენის საქმეში ყოველმხრივი დახმარება აღმოვუჩინოთ. — თქვა მერკელმა.

კანცლერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ბერლინი მზადაა, უკრაინას ფართომასშტაბიანი ეკონომიკური დახმარება გაუწიოს და დონბასის განადგურებული ინფრასტრუქტურის აღდგენაშიც აქტიური მონაწილეობა მიიღოს. პოროშენკომ თავის მხრივ აღნიშნა, რომ დონბასში პროვოკაციები არ წყდება.

— ჩვენ ყოველ დღე ჩვენს მეომრებს ვკარგავთ. — თქვა უკრაინის პრეზიდენტმა.

ორივე ლიდერი ერთსულოვანი იყო იმაში, რომ მინსკის შეთანხმებებს ალტერნატივა არ გააჩნია. პოროშენკომ აღნიშნა, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს როგორც შიროკინოს, ასევე დონეცკის აეროპორტის დემილიტარიზაცია. „დღეისათვის ეს დონბასის ყველაზე ცხარე წერტილებია“, — თქვა პრეზიდენტმა. პოროშენკომ იმაზეც მიუთითა, რომ ბევრი უკრაინელი კვლავაც რუსების ტყვეობაში რჩება.

— რად ღირს თუნდაც ნადეჟდა სავჩენკოს შემთხვევა! ეს არანაირ ცივილიზებულ ჩარჩოში არ ჯდება. — თქვა პრეზიდენტმა.

### დასავლეთს მეტი აქტიურობა მოუწევს

ქერის ვიზიტმა მოსკოვში და პოროშენკოს ვიზიტმა ბერლინში დაადასტურა, რომ უკრაინასთან მიმართებით როგორც აშშ, ისე ევროპა ერთსულოვანია. დასავლეთმა პუტინს გარკვევით განუცხადა: სანამ მინსკის შეთანხმებები ბოლომდე არ შესრულდება ანუ დონბასიდან რუსული არმია არ გავა, საზღვარი კვლავაც უკრაინელთა კონტროლქვეშ არ მოექცევა, რუსეთის მიმართ სანქციების გაუქმებაზე არავითარი ლაპარაკიც კი არ შეიძლებაო. მეტიც, ვაშინგტონში უკვე ღიად აცხადებენ, რომ ესკალაციის შემთხვევაში რუსეთს დამატებით სანქციებსაც დაუწესებენ. ასეთმა კატეგორიულმა ტონმა პუტინზე გავლენა იქონია, თუმცა ცხადია, რომ უახლოეს ხანებში დონბასში მშვიდობა ვერ დაისადგურებს. პროვოკაციები, ტერაქტები, ლოკალური ხასიათის შეტაკებები გაგრძელდება. საფრთხე იმისა, რომ მარიუპოლის აღების მცდელობა განხორციელდეს, რეალურია და გამორიცხული არაა, რომ ეს უკვე მიმდინარე ზაფხულში მოხდეს. დასავლეთსაც (უნდა მას ეს თუ არა) მეტი აქტიურობა მოუწევს, რათა მოვლენების უფრო ტრაგიკული, სისხლიანი სცენარით განვითარება თავიდან აიცილოს.

ნიკა თევზაძე

## ჯონ ქერი: პუტინთან გულახდილი დიალოგი შედგა!“



აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ჯონ ქერი თავისი მოსკოვური ვიზიტის შეფასებისას ფრიად თავშეკავებულია. ჟურნალისტის შეკითხვაზე, რუსეთთან ურთიერთობებში გარღვევას თუ მიაღწიეთო, ქერიმ მიუგო:

— პუტინთან გულახდილი დიალოგი შედგა!

ამერიკელ პოლიტოლოგ მარკ კატცის აზრით, ქერის ვიზიტი სოჭში უფრო სიმბოლურ ხასიათს ატარებდა და მას კონკრეტული შედეგები არ მოჰყოლია. ქერის ვიზიტი მოწმობს, რომ რიგ საკითხებში მოსკოვსა და ვაშინგტონს საერთო ინტერესები გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, ძირეული გარღვევის მიღწევა ვერ მოხერხდა. რიგი პრინციპული საკითხების შეფასებისას მხარეები თავიანთ შეხედულებებზე დარჩნენ.

— განსაკუთრებით ეს უკრაინას შეეხება! — ამბობს კატცი.

## ჩავუშოღლუ: რუსეთის პოლიტიკის გამართლება არ შეიძლება!“

თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჩავუშოღლუმ რუსეთის პოლიტიკას იმპერიალისტური უწოდა. ჩავუშოღლუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ რუსეთმა მოახდინა ყირიმის ანექსია, გააჩაღა ომი დონბასში, მოახდინა აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის ოკუპაცია. ჩავუშოღლუ დეტალურად შეჩერდა ყირიმში შექმნილ მდგომარეობაზე, იმაზე, რომ ყირიმელი თათრების დევნა-შევიწროება სულ უფრო ფართო მასშტაბებს იღებს:

— რუსეთის პოლიტიკის გამართლება არ შეიძლება, — თქვა ჩავუშოღლუმ.

## სასამართლომ ალექსეი ნავალნი გაათავისუფლა

მოსკოვის სასამართლომ რუსეთის ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ალექსეი ნავალნი გაათავისუფლა. მას მანამდე პირობითი სასჯელი ჰქონდა მისჯილი. გამოძიება მოითხოვდა, რათა ეს რეალური სასჯელით შეეცვალათ.

— სასამართლომ ამაზე უარი თქვა. — იტყობინება ბი-ბი-სი.

თავად ნავალნიმ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ პირობითი სასჯელი მისთვის არაფერს ნიშნავს და პუტინის რეჟიმის დემონტაჟისათვის ბრძოლას განაგრძობს.

## სერბეთი პრორუსულ პოზიციებზე რჩება

სერბეთის პრეზიდენტმა ნიკოლიჩმა განაცხადა, რომ მისი ქვეყანა რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღებას მხარს არ დაუჭერს. ნიკოლიჩმა აღნიშნა, რომ, მისი აზრით, „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობის შეჩერება შეცდომა იყო და ევროკავშირს მისი განახლებისაკენ მოუწოდა.



— ავადმყოფობა, სახელწოდებით პანსლავიზმი, სერბეთში ყველაზე მეტად შემორჩა. — ასეთი კომენტარი გაუკეთა ნიკოლიჩის სიტყვებს უკრაინის პარლამენტის დეპუტატმა ოლეგ ლიაშკომ.

## ჰასან ზაკაევმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარა

2002 წელს დუბროვკაზე ტერაქტის ორგანიზატორმა ჰასან ზაკაევმა დანაშაული ნაწილობრივ აღიარა. როგორც ცნობილია, ამ ტერაქტმა 174 ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

— ზაკაევი მზადაა, სასამართლოს წინაშე პასუხი აგოს. — აცხადებს მისი ადვოკატი.



მოამზადა ნიკა თევზაძემ

## hპχცეχპლბ ,



**შვეულად:** 1. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საფრანგეთში; 2. საეკლესიო წესების კრებული; 3. სვან მამაკაცთა ცეკვა; 4. ჯაკომო პუჩინის ოპერა; 5. მთავრობის წევრი; 8. ხალხური ზეპირსიტყვიერება; 12. ცხვრის ქონიანი კუდი; 13. რომაელი ორატორი, სახელმწიფო მოღვაწე; 14. ზღვის ყაჩაღი; 16. წმინდა ოქრო; 18. ერთწლიანი პარკოსანი მცენარე; 20. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში.

**თარაზულად:** 6. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 7. აშშ-ში გავრცელებული ფართოფარფლებიანი კოვბოური შლაპა; 8. ტროპიკული პალმის ნაყოფი; 9. მე-19 საუკუნის ვირტუოზი ბელგიელი მევიოლინე, კომპოზიტორი; 10. დიდი, მთლიანი ქვის ლოდი; 11. ამერიკელი იურისტი, დეტექტიური ჟანრის მწერალი; 15. სისხლის წნევის აწევა; 17. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 19. ბუდისტთა წმინდა წიგნი; 21. შრი-ლანკას დედაქალაქი; 22. მეცნიერება უჯრედების აგებულების, განვითარებისა და ფუნქციების შესახებ; 23. მე-17 საუკუნის ესპანელი ფერმწერი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### ობყფ ყχვცპიბ უფვχმეც.ყც,ეჯბ hპχცეχპლც,ბც ბფცე[ც,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაიკალი; 2. „ჩიხურა“; 3. ბრინდიზი; 4. გეორგიკა; 7. კონვეიერი; 8. სკვიმნია; 12. მარიჯანი; 13. მარიფათი; 16. ფრეგატი; 17. ვერსალი; 19. მაზე; 20. „შინი“.

**თარაზულად:** 5. „ბახთიარი“; 6. ვირსალაძე; 9. მაჟალო; 10. რონოდა; 11. დვირი; 13. ხავსი; 15. ტაბიძე; 16. „ბრერა“; 21. კარდინალი; 22. ამბიცია; 23. მესხეთი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შინჯუკუ; 2. ტალავარი; 3. „ინტელი“; 4. პირეი; 5. შიფონერი; 8. კერამიკა; 12. ტიბო; 13. ევოლუცია; 14. ჟირაფი; 16. ტიციანი; 18. ბუტკო; 20. კები.

**თარაზულად:** 6. „ვიქტორია“; 7. მონოტიპი; 8. კალასი; 9. „ბურჟე“; 10. პარალიზი; 11. გასტრიტი; 15. კვირკველია; 17. ჰოპერი; 19. ფრიკადელი; 21. აცეტატი; 22. კატალონია; 23. „ლიკანი“.

## fcnhjghjuyjpb
15 მაისისთვის

**გაიხალისეთ ცხოვრება**

**ვერძი** — პრობლემები გაქვთ, მაგრამ ადგილად აუდიხართ. **კურო** — ფული არ გაქვთ, მაგრამ ახლობლები მალე დაგეხმარებიან. **ტყუპები** — ის საქმე აკეთეთ, რაც მოგწონთ. **კირჩხიბი** — გადაწყვეტილების მიღებისას ნუ აჩქარდებით. **ლომი** — გაურკვევლობაში ყოფნას მალე ბოლო მოეღება, თავს კარგად იგრძნობთ. **ქალწული** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **სასწორი** — ახლობლების გარემოცვაში თავს კარგად იგრძნობთ. **ღრიანკალი** — ფულს იშოვით, გელით სხვა სიახლეც. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — გარკვეულ სიტუაციაში თავს უხერხეულად იგრძნობთ. **მერწყული** — რაღაცას ნანობთ, მაგრამ მალე გაგივლით. **თევზები** — არ გადაიღალოთ, ზომიერად იშრომეთ.

უბცეპეც,ს ,ცლყბცპ ლქცც=

# საქართველო რაგბის ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს



2017 წლის 20-წლამდე მორაგბეთა მსოფლიოს ჩემპიონატს საქართველო უმასპინძლებს! თამაშები ორ ქალაქში, თბილისსა და ქუთაისში გაიმართება.

მასპინძლობის მინიჭება მსოფლიო რაგბის საბჭომ დუბლინში გადაწყვიტა. ტურნირის გამართვის ზუსტი დროები მალე გამოქვეყნდება.

მსოფლიო რაგბი 20-წლამდელთა ჩემპიონატისა და მისი დანამატის, 20-წლამდელთა ალაფისთვის, საერთო ჯამში, დაახლოებით 2 მილიონ გირვანქა სტერლინგს გამოჰყოფს.

**ბერნარ ლაპასე, მსოფლიო რაგბის პრეზიდენტი:**

— მინდა მივულოცო საქართველოს რაგბის კავშირს, საქართველო 2017 წლის 20-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელია. ასევე მადლობა საქართველოს მთავრობას მასპინძლობის ინვესტიციისთვის. მსოფლიო რაგბის მომავალი ვარსკვლავები 2017 წელს დიდებულ ტურნირს მიიღებენ. საქართველო სტუმართმოყვარეობის ქვეყანაა, სპორტის მდიდარი ტრადიციებით.

**გია ნიჟარაძე, საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტი:**

— მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა ჩვენთვის დიდი პატივია, არა მარტო რაგბის თემისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. ეს ტურნირი დიდებული საშუალებაა, კიდევ უფრო განვითარდეს ჩვენს ქვეყანაში რაგბი. ეს ტურნირი კიდევ უფრო მეტ ადამიანს მიიზიდავს ჩვენს ქვეყანაში. ბოლო 7 წლის განმავლობაში ქართულ რაგბიში ბევრი რამ შეიცვალა ბანკ „ქართუს" მრავალმილიონიანი საინვესტიციო პროგრამის წყალობით.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ლექს სენი თაღლითობის მსხვერპლია

ეკა ირემაშვილი

მომღერალი ლექს-სენი ხმამაღლა აცხადებს, რომ თაღლითობის მსხვერპლია. პოლიტრეპრესირებულმა რამაზ გაგნიძემ საჯაროდ განაცხადა, რომ ლექს-სენი კუდ-ის აგენტია და რეპერმა მას ბინა წაართვა.

**რამაზ გაგნიძე:**

— ,,ნაციონალების" დროს ორჯერ ვიყავი დაჭერილი და ორჯერვე წამართვეს სხვადასხვა სახის ქონება: ერთხელ ბიზნესი, ერთხელ ბინა. მის წართმევაში მომღერალი ლექს-სენი და კუდი-სა და სოდ-ის რამდენიმე მაღალჩინოსანი ჩაერია. დიახ, მომღერალ ლექ-სენზე ვამბობ, რომელიც დღეს იმ ჩემს დაკარგულ ბინაში ცხოვრობს. ოფიციალურად დამიბარეს სოსო თოფურიძესთან და იქ პირადად თოფურიძემ და კუდის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა მითხრეს, ლექს-სენი არის ჩვენი აგენტი და ეს კაცი იქნება შენს ბინაშიო!

ეს ადამიანი აწარმოებდა ჩემს საწინააღმდეგო მთელ რიგ პროცესებს! ლექს-სენმა ,,ნაციონალების" ფულით იყიდა ჩემი ბინა, რომელსაც მე მართმევდნენ. ფაქტობრივად, ბინა უკვე წართმეული მქონდა და უგულავას მხრიდან ძალდატანებით უნდა გადამეფორმებინა. ცალკე თოფურიძე და ლექს-სენი მონაწილეობდნენ ამაში და ცალკე უგულავა, ზედამხედველობის სამსახურთან ერთად! ეს იყო შეკრული კონგლომერატი!

ლექს-სენი აცხადებს, რომ იაფფასიანი ინტრიგები არ უყვარს, ჟურნალისტებს კი ინფორმაციის გადამოწმებისკენ და ობიექტურად გაშუქებისკენ მოუწოდებს.



ლექს-სენი

**ლექს-სენი:**

— რამაზ გაგნიძე თაღლითი და კრიმინალია. მან მოგვატყუა, „გადაგვაგდო". ერთ-ერთი მათგანი გახლავართ, ვინც მის მიერ აშენებულ კორპუსში ბინა შეიძინა. ვითომ მშენებელი იყო, სინამდვილეში კი მატყუარა ყოფილა. ჩვენი ფული „შეჭამა", ბინის მშენებლობა კი ისე არ დაგვიმთავრა, როგორც უნდა დაესრულებინა: წყლის, ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირის, ლიფტის გარეშე დაგვტოვა. შემდეგ მოსახლეობამ ვუჩივლეთ, მის წინააღმდეგ საქმე აღვძარით. სამწუხაროდ, ყურადღება არავინ მოგვაქცია. შველას დღემდე ვითხოვთ. იქნებ ახალმა მთავრობამ მაინც მოგვხედოს და ზარალი აგვინაზღაუროს. ამ ადამიანს ჩვენი დაახლოებით, 30.000 დოლარამდე ვალი აქვს. შეგიძლიათ, ამის შესახებ კორპუსის სხვა მცხოვრებლებს ჰკითხოთ. ხალხი გაღიზიანებულია.



კალეიდოსკოპი

# პრინცმა ჰარიმ ახალზელანდიელი მორაგბეების ცეკვა შეასრულა



ბრიტანეთის პრინცმა ჰარიმ შეასრულა ჰაკა — ტრადიციული ახალზელანდიელი აბორიგენი მოსახლეობის, მაორების, ცეკვა, რომელსაც ამ ქვეყნის მორაგბეთა გუნდი ასრულებს მატჩის წინ.

ბრიტანეთის ტახტის მემკვიდრემ ცეკვა ღირსების გრძნობითა და ახალი ზელანდიის ტრადიციების პატივისცემით შეასრულა.

ჰაკას ასრულებს გუნდი და მას თან ახლავს რიტმული წამოძახილი აკომპანემენტის სიტყვების თანხლებით. მსოფლიომ მაორების ეს ტრადიცია ახალი ზელანდიის მორაგბეთა გუნდის საშუალებით გაიცნო, რომელიც ერთ-ერთ უძლიერესად ითვლება მსოფლიოში.

სპორტსმენები ჰაკას ერთ-ერთ ვარიანტს კა-მატეს ყოველი მატჩის დაწყების წინ ასრულებენ. ცეკვის დანიშნულებაა მორაგბეთა მებრძოლი სულის ამაღლება, ასევე მეტოქე გუნდის მოთამაშეებზე ფსიქოლოგიური შეტევის განხორციელება, მათი დაშინება.

# ავსტრალიელი მინისტრი ჯონი დეპის ძაღლს ემუქრება

ავსტრალიის სოფლის მეურნეობის მინისტრი ბარნაბი ჯოისი იმუქრება, რომ ჯონი დეპის კუთვნილ ორ იორკშირის ტერიერს მოკლავს. მინისტრმა საკუთარი პოზიცია იმით ახსნა, რომ მსახიობმა ცხოველები ქვეყანაში საკუთარი თვითმფრინავით ჩაიყვანა, ისე რომ ამისთვის აუცილებელი ვეტერინარული კონტროლის თანხმობა არ მიუღია.

ჯოისმა განაცხადა, რომ მსახიობს, რომელიც ავსტრალიაში „კარიბის ზღვის მეკობრეების" მორიგი ფილმის გადაღებებზე იმყოფება, 48 საათს აძლევს თავისი ძაღლების ქვეყნიდან გასაყვანად.

— როდესაც ქვეყანაში ცხოველების შემოყვანა გსურს, ამისთვის თანხმობა უნდა მიიღო, შემდეგ ისინი კარანტინში მოთავსდებიან და მხოლოდ ამის შემდეგ შეძლებთ თქვენ მათ წამოყვანას, მაგრამ, თუ ჩვენ კინოვარსკვლავებს, თუნდაც ისინი მსოფლიოში ყველაზე სექსუალურად იყვნენ აღიარებულნი, კანონის დარღვევის უფლებას მივცემთ, მაშინ რა გამოვა. დროა, ძაღლები უკან, აშშ-ში გაამგზავრონ, თუ არადა, მათი დაძინება მოგვიწევს. — განაცხადა ჯოისმა ადგილობრივი რადიოსადგურის პირდაპირ ეთერში.



# მედდამ 90 წლის იუბილე სამსახურში აღნიშნა



ამერიკელმა მედდამ ფლორენს რიგნიმ თავისი 90 წლის იუბილე სამსახურში აღნიშნა. ვაშინგტონის შტატის ქალაქ ტაკომას მცხოვრებმა, რომელიც ამჟამად კვირაში ორ დღეს მუშაობს, თავისი სამსახური 1946 წელს დაიწყო.

რიგნის საიუბილეო მილოცვების ამსახველი ვიდეო იუთუბიზე მისმა კოლეგამ მარტი შულცმა განათავსა. რამდენიმე დღეში ამ ვიდეორგოლმა 100 ათასზე მეტი ნახვა მოაგროვა. უხუცეს მედდას იუბილე წერილობით ასევე მიულოცა შტატის გუბერნატორმა ჯეი ინსლიმ.

მილოცვისთვის მადლობა გადაუხადა კოლეგებს იუბილარმა, რომელმაც აღნიშნა, რომ მათი მხრიდან ყურადღება მისთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა.

— როდესაც დღეს დილით მაღვიძარამ დარეკა, მე გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, უკვე 90 წლის ვარ". წარმოგიდგენიათ, ამ ქვეყანას 90 წლის წინ მოვევლინე! — განაცხადა ფლორენს რიგნიმ.

# სიყვარულის გამო წონაში დაკლებულმა ბრიტანელმა სელფი გადაიღო



სიყვარულის გამო წონაში 305 კილოგრამის დამკლებმა პოლ მეისონმა, რომელიც მანამდე მსოფლიოში ყველაზე მსუქანი ადამიანის წოდებას ფლობდა, საცოლესთან ერთად სელფი გადაიღო.

54 წლის მამაკაცმა, რომელიც ამჟამად 127 კილოგრამს იწონის, ზედმეტი კანის მოსაშორებლად ჩატარებული ქირურგიული ჩარევიდან რამდენიმე დღეში გადაიღო სურათი თავის მომავალ მეუღლე რებეკა მაუნტინისთან ერთად ნიუ იორკის ცენტრალურ პარკში სეირნობის დროს.

# ყველაზე ხმამაღლა ბრიტანული კატა კრუტუნებს

კატა, სახელად მერლინი, რომელიც ინგლისის საგრაფო დევონში ბინადრობს, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა იმის გამო რომ ის ყველაზე ხმამაღლა კრუტუნებს. ხმის სიძლიერე, რომელსაც 13 წლის ცხოველი გამოსცემს, 67,8 დეციბელს აღწევს, მაშინ როდესაც შინაური კატების მიერ გამოცემული ხმის საშუალო მაჩვენებელი 25 დეციბელია.

ორი წლის წინ მერლინის პატრონმა ტრეისი ვესტვუდმა გაიგო, რომ კატა, სახელად სმოკი, გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა, ვინაიდან მისი ხმის სიძლიერე 67,68 დეციბელს აღწევდა. ტრეისიმ ჩათვალა, რომ მის კატას ამ რეკორდის მოხსნა სულ ადვილად შეეძლო.

მიმდინარე წლის დასაწყისში სმარტფონში ჩატვირთული პროგრამის დახმარებით კატის პატრონმა თავისი შინაური ცხოველის ხმის სიძლიერე გაზომა, რომელმაც აჩვენა, რომ მერლინის კრუტუნის ხმის სიძლიერე 98-სა და 100 დეციბელს შორის მერყეობდა, რაც თითქმის უტოლდებოდა კორტზე ჩოგბურთელ მარია შარაპოვას მიერ ბურთის დარტყმის დროს წამოყვირების ხმის სიძლიერეს (101,2 დეციბელი) და მხოლოდ 10 დეციბელით ჩამორჩებოდა სანგრევი ჩაქუჩის ხმის სიძლიერეს.

ამის შემდეგ ვესტვუდს სახლში ეწვივნენ ექსპერტები ახალი მსოფლიო რეკორდის დასაფიქსირებლად, მაგრამ პირველმა ორმა გაზომვამ დაბალი შედეგი აჩვენა, ხოლო მას შემდეგ, რაც პატრონმა კატა მისი საყვარელი თევზის კონსერვით დაანაყრა, მერლინის ხმის სიძლიერემ 67,8 დეციბელს მიაღწია. ამან ექსპერტებს ახალი მსოფლიო რეკორდის დაფიქსირების საშუალება მისცა.



მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ

„ქ.თბილისში მცხოვრები ფოთელების საზოგადოების" გამგეობა სამძიმარს უცხადებს საზოგადოების წევრს, ბატონ ჯემალ კვირტიას ვაჟიშვილის

**გია (არჩილ) კვირტიას**

გარდაცვალების გამო.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პროფესიული კავშირების გაერთიანება ღრმა მწუხარებას გამოხატავს ღირსეული მამულიშვილის, საქართველოს ეროვნული მოძრაობისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თავდადებული მებრძოლის, აფხაზეთის კოლორიტული პიროვნების

**ჯონი ლატარიას**

გარდაცვალების გამო. თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახსა და ყველა მათ, ვისაც უყვარდა და გული დასწყვიტა ჯონის სიკვდილმა.

ცფვუკჯდბფჰჯ უფყნ[ფლტ,ტ,ბ ვბბქტ,ფ .ჯდტკლქტ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლტ8

## TV პროგრამა

პარასკევი 15 მაისი

**15.05.2015** პარასკევი **07.30** "ჩვენი დილა" **08.00, 09.00, 10.00** "მოამბე" **10.15, 02.00** "პირადი ექიმი" **11.00, 02.30** "სამოთხის ვაშლები" **12.00, 16.00, 19.00, 20.00** "მოამბე" **12.40, 03.30** "სადილის დრო" **13.20** ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** **14.20** "საუკუნის პორტრეტები" **15.00, 21.00** ტ/სერ. **"ადვოკატები"** **16.45** "ეკონომეტრი" **17.00** "კომუნიკატორი" **19.30** "სიტყვების თამაში" **22.00** პოლიტიკური თოქ-შოუ **00.00** მხ/ფ **"კონკორდი 79"** (ალენ დელონი)

**08.00, 10.10, 21.00, 23.30** "ბრიფინგის დრო" **09.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **10.00** "გეოფაქტორი" **10.30** "არგუმენტების დრო" **12.00** საქართველოს პარლამენტის პლენარული სხდომა **21.30** "არგუმენტების დრო" **23.00** "ნამდვილი დრო"

**06.45** სერ. **"სიცოცხლის სიყვარული"** **07.30, 08.05, 09.10** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00, 02.50** ქრონიკა **10.05** სერ. **"კარმა"** **11.20** სერ. **"ივნისის ღამე"** **12.30** დღის შოუ **14.40, 15.55** სერ. **"ორი ბედი"** **17.35** სერ. **"სიცოცხლის საფასური"** **18.45, 19.03** სერ. **"შურისძიება"** **20.55** სერ. **"შავი ვარდი"** **22.00** რეაქცია **00.00** სერ. **"ვალენტინო"** 4 სერ. **01.10** მხ/ფ **"უნივერსალური ჯარისკაცი - 3"** (ჟ.კ. ვან დამი) **03.00** ფარული კამერა

**06.00, 15.55** სერ. **"სასოწარკვეთილი დიასახლისები"** **07.30** დილამშვიდობისა საქართველო **10.15** სერ. **"ბედისწერა"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00** კურიერი **12.30** "შუა დღე" **16.55** სერ. **"მოჯადოებულები"** **18.55** სერ. **"სტამბოლის ცა"** **19.55** სერ. **"ქარადაი"** **20.50** ეროვნული ლატარეა **22.00** ვანოს შოუ **23.00** ქერის უბანი **23.30** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 34 (სეზ.7) **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერი. დაიჯესტი **03.30** მხ/ფ.

**06.10** მუს.პაუზა **06.15** კვირიაკე **07.20** დოკ. ფილმი **08.00** დილის ლოცვა **08.10** სახარება **08.20** მუს.პაუზა **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი **10.35** ტელე.პროექტი "განათლება გამოგარჩევს" **11.05** დოკ. ფილმი **11.30** კარაბადინი **12.10** პორტრეტები **13.05** მოკ/ფ **"სერენადა"** **13.30** "შუადღე"ერთსულოვნებაზე **15.20** მულტ. ფილმი ქართული **15.40** კონცერტი **17.20** მიწათმოქმედი (რ. შალიბაშვილი ) **17.40** თვენი **18.10** განთიადის სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ **"ცისკრის ზარები"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** დროის ჩანაწერები **22.25** მოგზაურობა სამშობლოში **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** თბილისის ტაძრები **00.35** კონცერტი **01.00** "შუადღე"ერთსულოვნებაზე

მაესტრო

**7.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00, 20.00, 0.30,** "მაესტროს ახალი ამბები" **7.30** ანიმაცია **"ოლივერ ტვისტი"** **7.55** "საქმიანი დილა" **10.05, 11.05 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"** **12.30, 18.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.35, 14.05 სერიალი "დაკარგული დრო"** **15.35** გადაცემა "მონიტორი" **16.05, 17.05 სერიალი "თანაგრძნობა"** **19.00 სერიალი "ქორწინება ანდერძით"** **20.05 სერიალი "შავი ფული და სიყვარული"** **21.00** "მაესტროს ცხრიანი" **22.30 სერიალი "დიდებული საუკუნე"** **1.30** გადაცემა "iZOS-ანალიზი" **1.00 სერიალი "უკანასკნელი გაზაფხული"**

გჰჯუჰფვტ,ბ
ბ,ტზლტ,ფ ცფფუტყნჯ
ვბყაჯჰფდჰბც4 ყტ,ფჰსდბს

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში: http://www.opentext.ge/akhalitaoba

15 მაისი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.3617

ევრო — 2.6515

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.6994

100 რუსული რუბლი — 4.7609

## ამინდის პროგნოზი 15 მაისისთვის





# იუვენტუსი ფინალში 12 წლის შემდეგ გავიდა



### რეალი _ იუვენტუსი 1:1
**1:0 რონალდუ (23პ), 1:1 მორატა (57)**

**რეალი:** კასილიასი, კარვახალი, რამოსი, ვარანი, მარსელო, კროოსი, ისკო, როდრიგესი, ბეილი, ბენზემა (ერნანდესი 67), რონალდუ

**იუვენტუსი:** ბუფონი, ლიხტშტაინერი, ბონუჩი, კიელინი, ევრა, პირლო (ბარძალი 79), მარკიზიო, პოგბა (პერეირა 89), ვიდალი, ტევესი, მორატა (ლიორენტე 84)

ბევრი არ ელოდა, რომ „იუვენტუსი" ასეთ ბრძოლას გამართავდა მადრიდში. იტალიური გუნდი სახლში მოგებული მატჩის შემდეგ იმ ამოცანით ჩავიდა ესპანეთის დედაქალაქში, რომ მარტო მოპოვებული უპირატესობა არ შეენარჩუნებინა და შეტევაზეც ეფიქრა.

მართალია, „რეალმა" თავიდან დაწოლა განახორციელა, მაგრამ „იუვე" არ შეშინდა და კარგად დაუხვდა მეტოქეს. მადრიდელებს ისღა დარჩენოდათ, რომ ბუფონი შორი მანძილებიდან „დაებომბათ", თუმცა კარის ჩარჩოში იშვიათად ახვედრებდნენ და ბუფონსაც ბევრი სამუშაო არ ჰქონია.

ანგარიშის გასახსნელად „რეალს" პენალტის მოპოვება დასჭირდა, რომელიც ზუსტად დაარტყა რონალდუმ. ერთია, ანგარიშის გაზრდას ვერ ახერხებდნენ, რათა თავი მშვიდად ეგრძნოთ.

შესვენების შემდეგ ნათელი გახდა, რომ მადრიდელთათვის ერთი გოლი საკმარისი არ იქნებოდა, რადგან ექს-მადრიდელმა მორატამ ისევ გაუტანა ყოფილ კლუბს და ანგარიში გაათანაბრა.

ამის შემდეგ „რეალს" უფრო გაუჭირდა და უფანტაზიოდ უტევდა, ხოლო უფრო მშვიდად მოთამაშე იუვენტუსი" ჩემპიონთა ლიგის ფინალში 12 წლის შემდეგ გავიდა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** — არტურო ვიდალი.

საუკეთესოდ შეიძლებოდა ბუფონის დასახელებაც — ჯიჯიმ რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი. თუმცა, მოედანზე კოლოსალური სამუშაოები გასწიეს ვიდალმა და პოგბამ. მათგან ვიდალი გამოვარჩიეთ.

# რობერტ სტურუა: წაეთრიეთ!"

ეკა ირემაშვილი



რუსთაველის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი და რეჟისორი რობერტ სტურუა სპეციალურ განცხადებას ავრცელებს და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს აფასებს:

— ვიღაცამ, კარგად მოვლილი ბოროტი სახე რომ ჰქონდა ფოტოზე, ეტყობა მოკლეკაბიან ტუჩდაბრილმა აურჩია, დაწერა: ერთი დარტყმაც და ჩვენ დავბრუნდებითო! ბოდიში, ვინ? უნიჭო, უვიცი, სადისტი, ფულის გიჟები, დედას რომ გაყიდიან, თვალთმაქცი ნარკოსპეკულიანტები, საქართველო რომ ეზიზღებათ, გახრწნილი ვაკელკები, ქურდოშკები და მკვლელები? ო, არა, არა. საოცნებო ატლანტაში წაეთრიეთ, ჯორჯიას შტატში, ჩვენ კი აქ დავრჩებით, იქნებ მოუაროთ იმას, რაც თქვენ ასე წაბილწეთ!

# მალე, მალე, მალე!

## „ახალ თაობასთან" ერთად

# საქართველოს მეფეთა ისტორია




### ყველა მეფის ისტორია ერთ წიგნში

# ნინი ბადურაშვილმა შვილთან დუეტი ჩაწერა

ეკა ირემაშვილი



მომღერალმა ნინი ბადურაშვილმა თავისი რეპერტუარი კიდევ ერთი დუეტით შეავსო. „ბრავო რექორდსში" მან კიდევ ერთი ახალი სიმღერა ჩაწერა. სიმღერას, რომელიც მომღერლის 2 წლის შვილს ეძღვნება, სახელწოდებაც შესაბამისი აქვს „ელენეს". ელენე ნინი ბადურაშვილისა და ირაკლი კუტალაძის შვილია. წყვილის დაქორწინება ისეთივე მოულოდნელი აღმოჩნდა ქართველი საზოგადოებისთვის, როგორც მათი გაყრა. ცნობისმოყვარეებში დიდხანს მიდიოდა მსჯელობა იმაზე, მისცემდა თუ არა გვარს ირაკლი კუტალაძე პატარას. ნინი და ირაკლი ჯერ კიდევ ნინის ორსულობის დროს დაშორდნენ. ელენე მამის გვარს ატარებს, ხშირად ჩადის მასთან და ნინისაც ყოფილ მეუღლესთან შვილის გამო ნორმალური ურთიერთობა აქვს.

ახალი დუეტის სტუდიურ ჩაწერებში მონაწილეობა პატარა ელენემაც მიიღო. მუსიკის ავტორები ეკა კახიანი და თავად ნინი ბადურაშვილი არიან, ტექსტი ირინა სანიკიძეს ეკუთვნის, არანჟირებაზე კი, ბორიკო შხიანი მუშაობს.

# სტივენ ჰოკინგი და დევიდ ბექჰემი ბრიტანეთის სახეები არიან



ბრიტანელი ფიზიკოს-თეორეტიკოსი სტივენ ჰოკინგი ფეხბურთში ინგლისის ნაკრების ყოფილ კაპიტან დევიდ ბექჰემსა და მის მეუღლე ვიქტორიას შეხვდა.

საუბრის დროს მეცნიერმა საკუთარი თავი ბექჰემის გვერდით დააყენა, რომელსაც ბრიტანეთის ხატება უწოდა.

— ზოგჯერ შენ უფრო მაღალ შეფასებას გაძლევენ, ზოგჯერ — მე. — აღნიშნა ჰოკინგმა.

თავად ბექჰემმა განაცხადა, რომ მისთვის უდიდესი პატივი იყო ლეგენდარულ მეცნიერთან გასაუბრება. ფეხბურთელის მეუღლემ კი საკუთარ გვერდზე დააზუსტა, რომ ამ შეხვედრის ორგანიზატორი კორპორაცია გუგლი იყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# იუმორი

ქალაქელი და სოფლელი გაჩერებაზე დგანან. სოფლელი ეკითხება:

— რომელ მარშუტკას მისდევ შენა?

— ეგ შენ მისდევ, მარშუტკას, თორემ მე მივყვები.

●●●

სახლში დილით მისულ ქმარს ცოლი ეკითხება:

— სად იყავი მთელი ღამე?

— სამსახურში.

— არ მჯერა.

— კინოში.

— ტყუილია.

— მორიგე ვიყავი.

— არ მჯერა.

— მაშინ მაცალე ძილი და მოვიფიქრებ რამეს.

●●●

ქალი ავტობუსში ავიდა. ახალგაზრდა წამოხტა და ადგილი დაუთმო:

— დაბრძანდით, დეიდა.

— იჯექი, შვილო, იჯექი, მე სად მცალია დასაჯდომად.

●●●

ხანდაზმული მამაკაცი ექიმთან მივა და ეუბნება:

— ექიმო, პირველს რომ გამთავრებ, კარგად ვარ, მეორეზეც, მესამეზეც, მაგრამ მეოთხეზე ცოტა მუხლები მეკვეთება, მეხუთეზე მთლად მაკანკალებს, მეექვსეზე კი აღარაფრის თავი აღარ მაქვს და რა ვქნა?

— შენც ადექი და მეოთხეზე გაჩერდი.

— მეოთხეზე როგორ გავჩერდე, მერვეზე ვცხოვრობ.

●●●

წარწერა საფლავის ქვაზე:

„შენ უნდა კითხულობდე ახლა ამას და მე უნდა ვიწვე მიწაში?!"

●●●

ორი ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეკითხება:

— რა ქნა ჩვენმა ნაკრებმა?

— უჰ, 6:0 წააგო.

— მერე, რაო ჩვენმა მეკარემ, გუნდს რატომ არ წაჰყვებიო?

●●●

ქალი ქმრის საფლავს დასტირის:

— არჩევნებზე თუ იყავი, შე სასიკვდილე, სახლში ვერ შემოიარე?!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## 45 ლარად!
## წვერსაპარსი PHILIPS+ საჩუქარი ტრიმერი 50% ფასდაკლებით



### წვერსაპარსი PHILIPS

- ტიპი: წვერსაპარსი;
- სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
- გასაწმენდი ჯაგრისი;
- ბაკების გასასწორებელი;
- მოყვება დამტენი
- მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
- ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
- მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებენ თქვენი სახის კონტურს;
- მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
- დატენვის ინდიკატორი;
- ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

## მზის სანათი — 40 ლარად




**შეთავაზების აღწერილობა:**

— მზის სანათი საშუალებას მოგცემთ მინიმალური დანახარჯებით მიიღოთ სასურველი განათება ნებისმიერ ადგილას;

— აკუმულატორის დამუხტვა შესაძლებელია შემდეგი წყაროებით: მზის ენერგია, დენის წყარო, ელემენტი და ხელის მოძრაობით;

— აკუმულატორის მუშაობის ხანგრძლივობა: 24 საათი.შეგიძლიათ დატენოთ ნებისმიერი უსბ მოწყობილობა,მობლური,აიპოდი და სხვა

## შეიძინეთ სმენის აპარატი
## 45 ლარად
## 100 ლარის ნაცვლად



1. ხმის გაძლიერება 50 ДБ.
2. ხმის რეგულირება.
3. ერგება ორივე ყურზე.
4. პატარა, მსუბუქი, შეუმჩნეველი.
5. კომპლექტშია: მოწყობილობა 1 ც. რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 — 10ც. ჩასადები ყუთი, ინსტრუქცია.



მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ტელ: 2-182-186
მის: გაჟა-ფშაველას№79


## კროსვორდი

**შვეულად:** 1. ბედიღბლიანობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 2. კუთხე საქართველოში; 3. ამერიკელ ინდიელთა ნადირის ტყავის რბილი ფეხსაცმელი; 4. უმსხვილესი ჩინური ნავთობკომპანია; 7. ტკბილეულის დამზადების ოსტატი; 8. იტალია-საფრანგეთის დამაკავშირებელი საავტომობილო-სარკინიგზო გვირაბი; 12. სტაფილოში არსებული პიგმენტი; 14. ბროშში ან ბეჭედში ჩასმული მსხვილი ბრილიანტი; 16. ქალაქი იმერეთში; 17. თეატრის ძველი ქართული სახელწოდება; 19. გადასახადი სახელმწიფოში შემოტანილ საქონელზე; 20. ქალაქი ჩეხეთში.

**თარაზულად:** 5. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 6. შვედეთის დედაქალაქი; 9. ტბა იტალია-შვეიცარიის საზღვარზე; 10. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი ქალი; 11. ჟორჟ სიმენონის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 13. დამარილებული, შებოლილი ღორის ხორცი; 15. ქართველი თეატრალური რეჟისორი ქალი; 18. წყალბადისა და ჟანგბადის ქიმიური ნაერთი; 21. ცვილის დიდი სანთელი; 22. ქართველ მწერალ კონდრატე თათარაშვილის ლიტერატურული ფსევდონიმი; 23. ჰოლანდიური ელექტროტექნიკური კომპანია.



*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*